ᲙᲕᲐᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI. ᲥᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ. XI.

№. 15 ᲙᲕᲘᲠᲐ, 6 ᲐᲠᲘᲚᲘ 1903 ᲬᲚᲘᲡᲐ. №. 15

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სანიკორის ქუჩაზე, № 35. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція «КВАЛИ».

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: მთავრობის გამოცხადებანი.—ნაზარეველი აღსდგა, სპ. მტერიშვილისა.—ნადუღი, დაქ. დ. თომაშვილისა.—მამულიშვ. ერთან თუ ხალხის სამსახ., ეკორიდელისა.—სხვადასხვა ამბები.—კორესპონ.—აზრი, მოთ. ლ. ანდრეევისა. თარ. ბ. დიმოთიეისა.—არ ვარგა მარა, მაინც კარგია, დ. თოფურიძისა.—მეურნე და მეურნეობა, გ. მარმაძისა.—კორესპ. მოწერ. ამბები.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

I.

უნივერსიტეტების დახურვის შესახებ.

«ᲞᲠᲐᲕᲘᲢ. ᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲨᲘ» ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲐ: «ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲯᲔᲠ ᲘᲡᲔ ᲗᲘᲑᲔᲠᲒᲚᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲡᲙᲜᲔᲚ ᲠᲐᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲦᲔᲓᲒᲘᲡ ᲔᲢᲘᲝᲑᲝᲓᲐᲗ. ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲛᲡᲛᲔᲜᲚᲗᲐ ᲐᲦᲔᲓᲒᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲘᲛ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲯᲐᲚ ᲔᲒᲖᲐᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ. ᲐᲦᲔᲓᲒᲔᲑᲘ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ 10 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲪᲚᲘᲗᲘᲡ ᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲮᲓᲐ; ᲨᲔᲘᲙᲠᲔᲑᲐ 600-ᲛᲓᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲛᲡᲛᲔᲜᲚᲔᲑᲘ. ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲡᲬᲐᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗ ᲜᲐᲛᲝᲓᲒᲘ ᲯᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲒᲡᲜᲔᲑᲐ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲛᲡᲛᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲫᲚᲐᲓᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲪ ᲘᲠᲩᲔᲑᲝᲓᲔᲜ ᲘᲛ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ 8 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲒ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ 11 ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲐᲮᲐᲚ ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ ᲨᲔᲩᲔᲠᲓᲐ. ᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐᲠᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ. ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ 345 ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ. ᲥᲕᲔᲓᲐᲜ 28 ᲥᲐᲚᲗᲐ ᲛᲘᲔᲡᲯᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲓᲣᲠᲡ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲕᲐᲡ ᲛᲘᲜᲪ ᲕᲔᲠ ᲣᲓᲠᲘᲡ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ 317 ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤ. ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲓᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ. ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲗ ᲓᲐᲡᲯᲔᲚᲘ 28 ᲥᲐᲚᲗᲐ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲐ ᲩᲐᲜᲐᲩᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲛᲔᲚᲐᲓ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲘᲗᲝᲗᲒᲐᲜ 27 ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐ. ᲡᲐᲔᲠᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ. ᲛᲡᲛᲔᲜᲚᲗᲐ ᲐᲡᲔᲗ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘᲗ ᲓᲘᲜᲘᲡᲮᲐ ᲡᲔᲚᲐᲮᲚᲐᲗ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ. ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ. ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲗᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲙᲠᲫᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲗᲡᲬᲐᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗ ᲜᲐᲛᲝᲓᲒᲘ ᲯᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲒᲡᲜᲔᲑᲐ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲛᲡᲛᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲫᲚᲐᲓᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲪ ᲘᲠᲩᲔᲑᲝᲓᲔᲜ ᲘᲛ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲗᲐ

თვის. საღდგომო ვაკაციების მოახლოვების გამო გამო ლექციებს ადარ წაიკითხავენ უნივერსიტეტში, მაგრამ ეგზამენები მოხდება დამტკიცებულ და გამოცხადებულ წესდების თანახმათ.

ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში, როდესაც წესიერი მსვლელობა სუნივერსიტეტო ცხოვრებისა არა ერთხელ დაირღვა, სამინისწაველო მთავრობამ და ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქცია, რომ მოუსვენარი სტუდენტები ყოველთვის იკრიფებოდენ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების სასადილოში, სადაც არჩევდენ საკითხებს ორგანიზაციებისას, ეგრეთ-წოდებულ სტუდენტთა გაფიცვისა, ბოიკოტიისა და სხვათა შესახებ. ამის გამო სასადილო დაიკეტა. ამ ჟამათ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობებით გამოირკვა, რომ როგორც 1866 წელს, 1900 წ. და 1901 წ.; ისე 1902 და 1903 წლებში დასახელებულ სასადილოში იმის გარდა რომ სტუდენტები ადგრძალულ სიმდერებს ამბობდენ და წესიერებას არღვევდენ, ხშირათ ახალგაზდათა წრეების ერილობას ახდენდენ ხოლმე. ამ ერილობაში დაპარაკი ქონდათ არა მარტო უწესოების მოხდენაზე, არამედ ქუჩებში დემონსტრაციის გამართვაზედაც. ამ სასადილოში გარეშენიც დადიოდენ, თუმცა ეს აღკრძალულული იყო, ხშირათ იმავე სასადილოში ერთმანეთს ხვდებოდენ არა სიამედო პირნი თავიანთ მავნე საქმეების შესახებ მოსაფარაკებლათ. დასასრულ ამ სასადილოებში საჯაროთ კითხულობდენ და ავრცელებდენ აღკრძალულ გამოცემებს. როგორც გამოირკვა, 18 მარტს უნივერსიტეტში მომხდარი ერილობა წინეთვე მოეწყოთ. ზემოთ ნათქვამიდან ნათლათ ირკვევა, რომ სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება უძლურია წესიერების დაამყაროს სტუდენტთა სასადილოში. ამის გამო შინაგან საქმეთა მინისტრის და საერო განათლების მინისტრის შეთანხმების შემდეგ დასახელებული სასადილო დაიკეტა.

II

გაზ. „Кавказъ“-ის ოფიციალურ განეოფილებაში დაბეჭდილია: „ჩერნომორის გუბერნიაში ბოსად სოჩში 17 მარტს ხოლიციის სტუსალოში ღამით გარდაცვალა ბატიმარი სვინოსტრიგინი. ბოლიციის უფროსმა და ოდქის ექიმმა შეამოწმეს გვამი და დაადგინეს, რომ სვინოსტრიგინი გარდაცვლილა სიმ[illegible] რადის გამო. დღის 12 საათზე სვინოსტრიგინის გვამი ოდქის ექიმის განკარგულებით წაიღეს ბოლიციიდან გასაჭრელათ. ქუჩაზე ასამდე შეერილმა კაცმა შეაჩერეს გვამი და კანატხადეს, რომ ისინი შიშობენ არ დამარხონ მიცვალებული გაუჭრელათ და საკვდილის მიზეზის გამოურკვევლათ. თუმცა მათ ამშვიდებდენ, რომ მიცვალებულის დამარხვა შეუძლებელია გაუჭრელათ, მაგრამ ისინი მაინც შეცვივდენ ბოლიციაში შეამტვრიეს სტუსალოს კარები, გაანთავისუფლეს ტუსალები, სცემეს „გოროდოვოებს“, ერთი ქვა მოარტყეს ხელში ოდქის უფროსს, მეორე ფოთის ბოლკის ოფიცერს კისერში. ერთი „გოროდოვოი“ ძლიერ არის ნაცემი. მოსულმა ჯარმა გაფანტა სალხი. განთავისუფლებულ ტუსალთაგან დაიჭერა 8 კაცი. როდესაც გვამი გაჭრეს გამოირკვა რომ სვინოსტრიგინი ცემის გამოა მომკვდარი დატუსალების დროს, ხოლო ალკოგოლით მოწამლის ნიშნები კი არ აღმოაჩნდა. დამნაშავე გოროდოვოები მიცემული არიან ბასუხის გებაში. რაც შეეხება ბოლიციის განეოფილების უფროსის და ოდქის ექიმის დანაშაულობას ამ საქმეში ეს გამოირკვევა გაშოძიების შემდეგ, რომელსაც უკვე ახლენს ეკატერინოდარის ოდქის ბროკურორი. ამ დროამდე კი დასახელებული პირნი გადაყენებული არიან თანამდებობიდან.

ბასუხის გებაში მიცემულ იქნებიან აგრეთვე ის პირნი, რომელნიც უფრო დამნაშავეთ არიან ცნობილი უწესოებისა და თვითნებობის მოხდენაში.

III.

მთავრობის გაზეთ „Уфим. губер. Вѣдом.“-ში მთავრობა აცხადებს შემდეგს: ამა წლის იანვრის დამლევს და თებერვლის დამდეგს ზლატოუსტის საბრ. უეზდის გაგეთმამ გამოუცხადა თავის მუშებს, რომ მთავრობის მიერ დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს 11 მარტიდან 1902 წ. მოსაზრების ძალით აუცილებლათ საჭიროა ახალი პირობები შეკრან და ახალი სისტემის საანგარიშო წიგნები მიიღონ. მიუხედავათ იმისა, რომ მოთხოვნილება საბუთიანი და კანონიერი იყო და აგრეთვე იმ გარემოებისა, რომ ახალი საანგარიშო წიგნები არაფრით არ სპობენ მუშათა იმ უფლებებს, რომელიც მათ 1861 წ. 8 მარტის კანონით მინიჭებული აქვთ მხოლოდ ნაცვლათ ქარხნის გამგის დისკრეციონური უფლებისა მუშათა დაჯარიმების შესახებ, ახალი წესით შამოღებულია სავალდებულო დადგენილება ამ საგანზე წარმოებათა წესდების თანახმათ—მიუხედავათ ყველა ამისა—ამ განკარგულებამ ზლატოუსტის მუშებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ვითომ მთავრობას ამით სურს შეზღუდოს ის შეღავათი და უფლებები, რომელიც წინანდელ კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ქარხნის მცხოვრებთ. ასეთი აზრები დათესა მათ შორის უმთავრესათ დაფარულმა პროპაგანდამ საწინააღმდეგო საზოგადოებებისამ, რომელთაც ამ უკანასკნელ წლებში ურალის სამთო წარმოების რაიონი აირჩიეს თავის სამოქმედო ასპარეზათ და ყოველი შემთხვევით საარგებლობდენ, რომ მუშათა და ქარხნის გამგეთა შორის მომხდარი შელაპარაკება საერთო უკმაყოფილებათ გადაექციათ და ყველა მუშები აეღელვებიათ. ამ შემთხვევითაც პროპაგანდისტებმა ამგვარათვე ისარგებლეს, როგორც ამას ამტკიცებენ მარტში გამოსული პროკლამაციები, მუშათა არეულობის გამოსაწვევათ. ავრცელებდენ ყოვლათ უსაფუძვლო აზრებს, ვითომ ახალი საანგარიშო წიგნები უარყოფდეს ალექსანდრე მეორის მიერ 8 მარტს 1861 წელს სამთო წარმოების მცხოვრებთა ბატონ-ყმობიდან განთავისუფლებას. მიუხედავათ აზრთა სრული უსაფუძვლობისა, ისინი მაინც პოულობდენ ნიადაგს დაუდეგარ მცხოვრებთა შორის, უმთავრესათ ზოგიერთ ხელმძღვანელთა წყალობით, რომელთაც შეუთვისებიათ რევოლიუციონური აზრი, და აგრეთვე მუშა ხალხის გაუნათლებლობისა და გაუგებრობის გამო, რომელიც ამიტომ ბრმათ მიყობა თავის ხელმძღვანელთ. ყოველმა ცდამ, როგორც ქარხნის ადმინისტრაციის, აგრეთვე თვით სამთო წარმოების უფროსის დ. სტ. სოვ. ზელენკოვის, რომელ. ნიც ცდილობდენ აეხსნათ მათთვის ნამდვილი აზრი და მნიშვნელობა ახალი წესებისა, ამაოთ ჩაიარა და ამ მოლაპარაკებამ გასტანა მარტამდის. მთელი ოლქის მუშებს აქამდის თავი რიგიანათ ეჭირათ და მშვიდობიანობა არ დარღვეულა, ერთმა ნაწილმა, სატკინსკის ქარხნის მუშებმა, ყველამ და ზლატისა კი 300 კაცმა კიდეც მიიღო საანგარიშო წიგნები. ქარხნის გამგეობას თავის მხრივ სურდა საქმის მშვიდობიანათ დაბოლოვება და, რადგან ფიქრობდა ამის თანდათანობით სისრულეში მოყვანას, ამიტომ არ აჩქარებდა მუშებს უსათუოთ მიეღოთ მალე საანგარიშო წიგნები. მარა მარტის დამდეგს დაფარული აგიტაციის წყალობით მათმა ურთიერთობამ მწვავე ხასიათი მიიღო. 7 მარტს 160 კაცმა ერთი ცეხისა განაცხადეს, რომ მათ არ სურთ ახალი საანგარიშო წიგნების მიღება და თუ ადმინისტრაცია ამას მაინც მოითხოვს, ისინი 10 მარტიდან მუშაობას აკვეთენ. ამ დროს მუშები მშვიდობიანათ იქცეოდენ, ასე რომ არავინ არეულობას არ მოელოდა მათგან, მით უმეტეს, რომ, როგორც უკვე მოხსენებული იყო, ქარხნის 300 მუშამ ერთი-მეორეზე მიიღეს ახალი წიგნები. ამიტომ სამთო უფროსმა წიგნების მიღების უკანასკნელ ვადათ დანიშნა

1 აპრილი. იმ ერთი ცეხის მუშებს კი გამოეცხადა, რომ თუ ისინი აკვეთენ მუშაობას 10 მარტს, იმ შემთხვევაში, ვინც პირობით მუშაობს, სამართალში იქნება მიცემული, დღიურათ მომუშავენი კი სრულებით დათხოვნილი იქნებიანო. 10 მარტს ცეხიდან არც ერთი სამუშაოთ არ გამოვიდა. იმავე დღეს 3 საათზე 500 კაცამდე მუშამ თავი მოიყარ მოედანზე, სამთო მართველობის ახლო, და თუმცა ცხადათ არ არღვევდენ მშვიდობიანობას, მაგრამ საკმაოთ მკვახეთ ებაასებოდენ თვითონ სამთო უფროსს, დეისტ. სტ. სოვ. ზელენცოვს, და მიუხედავათ მისი რჩევა-დარიგებისა, ცივი უარი განაცხადეს ახალი საანგარიშო წიგნების მიღებაზე და მუშაობის განგრძობაზე. 11 მარტს დ. სტ. სოვ. ზელენცოვი კიდევ იძულებული გახდა გამობაასებოდა მუშებს, რომელნიც ახლა 2000 კაცამდე თავ-მოყრილი თხოულობდენ პირადათ მის ნახვას.

მიუხედავათ იმისა, რომ მუშებს წინადადება მისცეს ახალი წიგნების მისაღებათ უკანასკნელი ვადის გაგრძელებისა, და აღუთქვეს, რომ იმათაც, ვისაც საანგარიშო წიგნები არ მიუღიათ, დროებით არ აეხდებათ უფლება სამთო ამხანაგობაში მონაწილეობისა, მიუხედავათ ზელენცევის განცხადებისა, რომ მათი მოთხოვნილება წარდგენილ იქნება უმაღლეს მთავრობასთან გამოსარკვევათ და გადასაწყვეტათ, ამ მოლაპარაკებამ მაინც ვერ გასჭრა; მუშები თხოულობდენ დაუყოვნებლივ და სრულ გაუქმებას ახალი საანგარიშო წიგნებისას. სამთო უფროსისაგან სამთო დეპარტამენტის დირექტორთან გაგზავნილ ტელეგრამაზე მინისტრისთვის მოსახსენებლათ, ტაინ. სოვ. ივანოვმა უპასუხა, რომ მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო თხოულობს დაწვრილებით ცნობებს მუშათა სურვილის შესახებ, მანამდი კი გადაეცეს მუშებს ჩემი ბრძანება, რომ მუშაობა დაუყოვნებლივ დაიწყონ წინანდებურათო. მინისტრის ეს განკარგულება განსაკუთრებული განცხადებებით ეცნოთ მუშებს, მარა მუშებმა არც ეს აასრულეს. წინაალმდეგ ბევრი მათგანი ერთი ცეხის მეთაურობით 11 მარტს წავიდა სამუშაოდან და განაცხადა, რომ მეორე დღიდან ყველა ცეხებში აღკვეთენ მუშაობას და მუშაობის მსურველთ ძალით არ მიცემენ ამის ნებას. იმავე საღამოს გუბერნიის უფროსმა მიიღო „ისპრავნიკისაგან“ ტელეგრამა ზლატოუსტის საქმეების შესახებ და მაშინვე „ვადიანი“ ტელეგრამით თხოვა ქ. ზლატოუსტში მდგომ მოკშანის ბატალიონის კომანდირს, რომ 12 მარტისთვის დილის 4 საათზე ორი როტა გაეგზავნა ქარხანაში სახელმწიფო ქონებისა და კეთილ-საიმედო მუშათა დასაცველათ გაფიცული მუშების ძალმომრეობისაგან. სამი საათის შემდეგ თვითონ გუბერნატორი პირველი მატარებლით გაემგზავრა ზლატოუსტში და თან წაიტანა გუბერნიის ჟანდარმთა გამგეობის უფროსი და საოლქო სასამართლოს პროკურორი. ამ პირების მოსვლა ზლატოუსტში დაგვიანდა 6 საათით, რადგან მათ პირდაპირ მომავალი მატარებელი ლიანდაგს გადაცდა და ისინი მხოლოდ 12 მარტის საღამოს 7 საათზე მოვიდენ. ამ დღეს კი ზლატოუსტში მოხდა შემდეგი: არც ერთი ცეხი სამუშაოთ არ გამოსულა. შემდეგ დილის 10 საათზე 2000 კაცამდე შამოეხვია დრ. ალმ. გუბერნ. ჟანდ. უფროსის თანაშ. თანამდებ. როტმისტრ დოლგოვის სახლს და თხოულობდა დაუყონებლივ განთავისუფლებას წინა დღით დაჭერილ ორი გაფიცვის მოთავესას, რომელნიც განსაკუთრებულ ენერგიულათ ეწეოდენ საწინაალმდეგო აგიტაციას. ხალხი ხმაურობდა, იმუქრებოდა, მოისმოდა ყვირილი: „დაიჭირეთ ისო!“ ბევრი ქვებსაც ისროდა. როტმისტრ დოლგოვის დასაცველათ მოვიდა მოკშანის ბატალიონიდან ერთი როტა—აფიცრის წინამძღოლობით. ამას შემდეგ ხალხი დაიშალა და შამოერტყა ახლა ,,ისპრავნიკის'' სადგომს. აქ მუშათა ყოფა-ქცევა უფრო საშიშო შეიქნა. ,,ისპრავნიკს'' რომელიც გარეთ გამოვიდა, ხელს ტაცებდენ პალტოს კალ[illegible] ცდილობდენ კარებს მოეშორებიათ, გაისმოდა ხმ[illegible] აქ ისპრავნიკი, ერთი დავგლიჯოთო“. მოსულ ჯარს ხალხი ემუქრებოდა დანებით და ხანჯლებით, ესროდენ ქვებს. ხალხის კადნიერებამ იქამდი მიაღწია, რომ არეულობაში მონაწილენი ახტებოდენ ჯარისკაცებს, ჩამოითრიეს კიბიდან აფიცერი, ხელით დაანტვრიეს და დალეწეს რამდენიმე თოფები, ასე რომ ყარაულები იძულებული იყვენ, თოფის კონდახებით მოეშორებიათ თავიდან ხალხი და ისპრავნიკმა მხოლოდ საღამოს 7 საათზე შეძლო ბინიდან გაქცევა. ამ დროს, როგორც ზევით ვთქვით, მოვიდა კიდეც მაზრის უფროსი, რომელიც ვაგზლიდან სამთო უფროსის სადგომისაკენ გაემართა. უკვე გზაში შეეძლო გუბერნატორს დარწმუნებულიყო, რომ სერიოზული არეულობა ხდება არა მარტო ისპრავნიკისა და როტმისტრ დოლგოვის მოხსენებიდან, არამედ იქიდანაც, რომ თვითონვე ნახა არსენალის მოედანზე ახმაურებული და აღელვებული ხალხი—1000 კაცზე მეტი, რომელნიც ამას წინეთ შამორტყმული იყო როტმისტრ დოლგოვისა და ისპრავნიკის სახლზე. ხალხის გაბედულობამ იქამდის მიაღწია, რომ მათ არ შეუშვეს ხელოსნები ქარხნის ელექტრონულ სადგურში და როგორც ქარხანა, აგრეთვე სამთო უფროსის სახლი ელექტრონის განათებას მოკლებული იყო. გუბერნატორის მოსვლის შემდეგ იგივე ხალხი გარს შემოეხვია სამთო უფროსის სახლს და მოითხოვა, რომ გუბერნატორი გამოსულიყო, მიეღო მათი თხოვნა და გაენთავისუფლებია როტმისტრ დოლგოვისაგან დატყვევებული პირები. გუბერნიის უფროსი გამოვიდა ხალხთან, მიიღო თხოვნა [1]) მუშებისა და წინადადება მისცა მათ სახლებში წასულიყვენ, მეორე დღეს მუშაობა განეახლებიათ და მასთან სამი ან ოთხი პირისაგან შემდგარი დეპუტაცია გაეგზავნათ მოსალაპარაკებლათ და რეზოლიუციის შესატყობათ. ხალხი კი მაინც არ იშლებოდა და განაგრძობდა რეკას კარებში, ცდილობდა კარების შემტვრევას და თხოულობდა დატყვევებულთა დაუყონებლივ განთავისუფლებას. რადგან ხალხი მეტათ აღელვებული იყო, გუბერნიის უფროსმა საჭიროთ დაინახა ტელეგრამით გამოეწვია უფიდან კიდევ ორი როტა ზლატოუსტის ბატალიონისა [2]) აგრეთვე გამოიწვიეს მესამე როტა მოკშანის ბატალიონისა, იმ ორი ბატალიონის გარდა, რომელიც უკვე ზლატუსტში იმყოფებოდა. ერთი როტა შეიყვანეს სამთო უფროსის სახლში მის დასაცველათ. მხოლოდ მესამე როტის მოსვლის შემდეგ, ხალხმა შეისმინა სამთო უფროსის ჟიგალოვსკის რჩევა-დარიგება და დაიშალა, მარა გაიძახოდენ: „ხალხო, ხვალ 9 საათზე ისევ აქ მოვიდეთო!“ მესამე დღეს 13 მარტს ხალხმა ისევ დაიწყო თავის მოყრა არსენალის მოედანზე და დილის 9 საათზე ხელახლა შემოერტყა სამთო უფროსის სახლს; გუბერნატორის რჩევა-დარიგებაზე [3]), რომ მოესპოთ უწესოება, დაშლილიყვენ და მოთმინებით მო-

1) ეს თხოვნა, დაწერილი ,,პირობიან'' მოხელეთაგან ზლატოუსტის სამთო ქარხნისა, მარა ხელ მოუწერელი, შეიცავდა ორ მუხლს 1) შენახულ იქნეს სამთო წარმოების ხელოსანთათვის 1861 წლის კანონი იმ უფლებათა შესახებ, რომელთაც ვითომ ეწინააღმდეგებიან ახალი სამუშაო პირობები სამთო მართველობისა. 2) განთავისუფლებულ იქნენ 12 მარტ. ღამეს დაჭერილი წამქეზებლები, რომელთაც, თხოვნის სიტყვით, მათი მიმცემნი იღებენ თავის პირად მფარველობის ქვეშ.

2) ეს როტები იმავე ღამეს გამოვიდენ და ზლატოუსტში მოვიდენ 13 მარტს დილისით.

3) დეპუტაცია, რომელსაც გუბერნიის უფროსი თხოულობდა, ხალხმა არ გამოგზავნა, და გუბერნატორი იძულებული იყო მთელ ხალხს, 1500 კაცს, გამოლაპარაკებოდა.

ეცადეთ ახალ საანგარიშო წიგნების შესახებ მიწათმოქმედების სამინისტროს გადაწყვეტილებისათვის, ხოლო დატუსაღებულთა შესახებ სასამართლო განკარგულებისათვის, რომელსაც მათი საქმე უკვე გადაეცა. ხალხმა უპასუხა ყვირილით, მუქარით, და მოითხოვა დღეუყონებლივ განთავისუფლება დაჭერილთა. დაახლოვებით დილის 11 საათზე, შემდეგ ორი საათის განმავლობაში უნაყოფოთ რჩევადარიგებისა, რომ ხალხი სამუშაოთ წასულიყო ან დაშლილიყო, მაინც გადაწყვეტილ იქნა ოლქის სასამართლოს პროკურორი და ჟანდარმის პოლკოვნიკი წასულიყვენ საპყრობილეში დატუსაღებულ წამქეზებელთა დასაკითხავათ. მარა ხალხმა ნება არ მისცა პროკურორს და ჟანდარმს შატოვს რომ მარხილში ჩამჯდარიყვენ და ითხოვა პირველათ, რომ ფეხით წასულიყვნ ციხეში ხალხთან ერთათ, შემდეგ, რომ დაჭერილები დასაკითხავათ გამოეყვანათ მოედანზე; პროკურორი და ჟანდარმთა პოლკოვნიკი იძულებული გახდენ უკანვე დაბრუნებულიყვენ, ხალხი კი ცდილობდა მათთან ერთათ შეცვენილიყვენ სახლში. მაშინ გუბერნიის უფროს უკანასკნელათ გამოვიდა მათთან და რამდენიმეჯერ გაიმეორა მოთხოვნა, რომ დაშლილიყვენ და გააფრთხილა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იარაღს მიმართავდა. მაგრამ ამ უკანასკნელმა მოთხოვნამაც უნაყოფოთ ჩაიარა და გუბერნიის უფროსის დაბრუნებისას ხალხი ისევ მოაწვა შემოსავალ კარებს და გაისროლა რამდენჯერმე ლევორველი, რომელთაგან ერთი ტყვიით დაიჭრა ხელში ისპრავნიკის თანაშემწე ლიუბოვიცკი, ხოლო მეორით ჟანდარმის უნტერ აფიცერი საფეთქელში. ამავე დროს ხალხი ემუქრებოდა მოედნის შორეულ ბოლოზე სამრეკლოსთან [4]) მდგომ მოკშანის ბატალიონის ორ როტას, რომელიც ფრონტით იყო ხალხისკენ დამდგარი [5]). ორი პირი, ალბათ მუშათაგანი ამოფარებოდენ სამრეკლოს სვეტებს და იქიდან რევოლვერს ესროდენ ჯარს. ამ გარემოებათა გამო გუბერნიის უფროსი იძულებული გახდა წინადადება მიეცა ბატალიონის კამანდირისათვის იარაღი ეხმარათ. ბატალიონის კამანდირმა შემდეგ სამი კანონით შემოღებული სიგნალისა нарожки, რა ნახა, რომ ხალხი მაინც ურჩობს, არ იშლება და ისევ ემუქრება ჯარს, უბრძანა ესროლათ. პირველ სროლის დროს [illegible] ხალხი ძირს დაწვა, მარა ისევ ზ[illegible] წამოხტა და ხელახლა შ[illegible]ტა ჯარს. მეორეთ ესროლეს. ახლა ხალხის ერთმა ნაწილმა უკან დახევა იწყო და ჯგუფებათ დაიყო, ხოლო მეორე ნაწილი ისევ უფროსის კარებთან იჯგუფებოდა. მხოლოდ მესამე სროლის შემდეგ ხალხი სულ გაიფანტა და დატოვა ადგილზე მოკლულნი და დაჭრილნი. გარდა როტებისა რამდენჯერმე გაისროლა თოფი შინ მყოფმა ყარაულებმა[6]), რომლებიც უფროსის სახლს იცავდენ, რომ ხალხი კარებში არ შეცვენილიყო. სართო რიცხვი მოკლულთა არეულობის ჩასაქრობათ—28, ჭრილობისაგან გადაიცვალა 17, მძიმეთ დაჭრილია 41. მსუბუქათ 19 და ძლიერ მცირეთ (ექიმობდენ ამბულატორიაში ან სრულიად გამოეწერენ საავათმყოფოდან) 23. 128 მოკლულ-დაშავებულთაგან 108 ზლატოუსტის ქარხნის მუშათაგან არიან, ხოლო 20 გარეშე მაყურებელი, რომელნიც ცნობის მოყვარეობამ მოიყვანა აქ, და რომელთაც არ შეისმინეს პოლიციის მოთხოვნილება გაშორებოდენ აქედან. ამათგან 2 მკვდარია, 6 მძიმეთ დაჭრილი, 12 მსუბუქათ, ყველა დაჭრილთ მაშინვე აღმოუჩინეს ექიმის დახმარება: ყველნი (გარდა ამბულატორიაში მყოფთა) დაწვენილი არიან ერობისა და სამთო წარმოების საავათმყოფოებში 4 ექიმის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან. [illegible]ლობრივ დაბალი საექიმო პერსონალის გასაძლიერებლათ გუბერნატორმა ტელეგრამით გამოიწვია 4 [illegible] ჯვრის საზოგადოებისა და მოითხოვა საცვლე[illegible] საწყობიდან. ზემო მოყვანილი ციფრები შედგენილია იმ სახელობითი სიის თანახმათ, რომელიც წარმოგვიდგინეს სამთო წარმოების და ერობის საავათმყოფოებმა და პოლიციის გამგეობამ 17 მარტისთვის. მათში შეიძლება მცირედი ცვლილება მოხდეს იმის მიხედვით, თუ როგორ მიმდინარეობას მიიღებს ამა თუ იმ დაშავებულის ავათმყოფობა და რამდენი აღმოჩნდება დაფარული. 14 მარტს მუშაობა ყველა ცეხებში დაიწყეს პირველი შეცვლისთანავე და მათი წესიერი მიმდინარეობა შემდეგში და აგრეთვე მყუდროება ქალაქში, არ დარღვეულა. უნდა ვიიმედოთ, რომ ის უკიდურესი ზომა—იარაღის ხმარება—რომლის მიმართვა ამ შემთხვევაში აუცილებელი შეიქნა, აუხელს თვალს ქარხნის მცხოვრებთა კეთილ გონიერ ნაწილს, დაანახვებს წინააღმდეგურ ხასიათს აგიტატორთა მოქმედებისა, რომელნიც თავის ქადაგებით იტაცებენ ადვილათ ამყოლ მუშებს და მთელ რიგ წინააღდეგობას ადენიებენ. მუშებმა უნდა შეიგნონ, რომ მხოლოთ იმ შემთხვევაში შეუძლიათ მათ შეინახონ გააუმჯობესონ თავის კეთილდღეობა, თუ რწმენით მოეპყრობიან თავის ადმინისტრაციას და კანონის მფარველობის ქვეშ შეინახვენ მყუდროობას, რომ ყოველი ცდა კანონის დარღვევისა გამოიწვევს აუცილებელ ზომებს ადმინისტრაციას მხრივ აღსადგენათ კანონიერი წესიერებისა და საზოგადოებრივი მყუდროებისა,ურომლისოთაც ყოვლად შეუძლებელია საზოგადოების არსებობა. რაც შეეხება იმათ, ვინც უმთავრესი მიზეზია მომხდარ არეულობათა, ისინი მიცემულ იქმნებიან პასუხის გებაში, რამდენათაც კი საქმე გამორკვეულ იქნება გამოძიებით, რომელიც უკვე სწარმოებს.

4) 150 ნაბიჯის სიშორეზე ხალხიდან.

5) ზლატოუსტის როტები ჯერ კიდევ არ იყვნ მოსული.

6) ერთი ,,ვზვოდი'' აფიცერთან ერთათ.

ნაზარეველი აღდგა!

— აჰა, გავიმარჯვეთ თუ არა? ბოროტი ღიმილით წამოიძახა რობინმა და თავი აიღო.—აბა ახლა სცადოს იმ ულმერთომ იმან, აბა ახლა კიდევ იქადაგოს: გასწორდითო! და აჰა, ნახა თუ არა გემო, იცნო თუ არა ახლა თავის თავი? თითქო ჩვენ არ გვყავდა მოსე წინასწარმეტყველი! მისი რჯული არ კმარა, მე უნდა შევავსოვო! ოჰ, ის ავაზაკი ისა, ავაზაკი!.. მაგრამ იგიც მას, ის ჯვარზე უნდა მოკვდეს!..

მთვარე არ ჩნდა და მოჩვენებასავით მიმავალი რობინის ფეხის ხმა ყრუთ გაისმოდა იერუსალიმის მიძინებულ ქუჩაში.

ის იყო გაასამართლეს ძე კაცისა. ბევრი იბრძოლეს მწიგნობრებმა და ფარისევლებმა, ბევრი ტყვია-წამალი დახარჯეს იმის გასამტყუნებლათ და გაამტყუნეს კიდეც.

გაამტყუნეს!.. მართლის მთქმელი, სიცრუის მთქმელათ აღიარეს, მერცხალი უკეთესი ცხოვრებისა, სატანის კერძათ მიიჩნიეს!.. მეგობარი კაცთა—იესო ტკბილი—დამარცხდა და გოლგოთის მთა, ავაზაკთა სისხლით მორწყული უნდა გაპოხიერებულიყო წმინდა სისხლით! გაამტყუნეს იესო!..

მას ერთ დღეს ასამართლებდენ. ერთ დღეში უნდა ძლეულიყო ძმა „ტვირთ მძიმეთა და დამაშვრალთა“, დღის განმავლობაში დარაჯები იცავდენ სამსაჯულოს კარებს, რომ ვინიცობაა, სიკვდილით დასასჯელის მომხრეებს რაიმე გაებედათ, განედევნათ ისინი, და ,,ქვა, რომელიც ქვა კუთხედათ დაედვა შენობას'' მომავლისას უნდა ექციათ მტვრათ. რობინი მხიარულობდა. ბოროტებასაც აქვს ნიჭი მხიარულებისა. შესანიშნავი წამი იდგა. ორი ძალა—კეთილი და ბოროტი—

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირისპირ შეხვდენ ერთმანეთს და ამით ისტორიაში მოიკალათეს. ისტორიას აქვს ისეთი კანონი, რომლის წყალობით უდიდებულესი ბოროტებაც-კი ხდება უკვდავათ, მისი სახელი ისეთი ასოებით ალიბეჭდება ხოლმე, რომ იმას ვერც ჟამი და ვერც მანძილი ვერ დაჩრდილავს, ვერ გადააფარებს თავის კალთას. უკვდავებას ქრისტესას გვერდში ამოუდგა შავით მოსილი უკვდავება იუდა ისკარიოტელისა, ერთმა კოცნამ მოციქულისამ გაკაფა გოლგოთაზე მიმავალი გზა... მაგრამ ვაი იმას, ვისაც ზიზღს არ გვრის ასეთი კოცნით მოპოვებული უკვდავება! ისიც ისარიოტელია.

იესო გაამტყუნეს!.. დამარცხდენ ,,ტვირთ მძიმენი და დამაშვრალნი'', ისინი ველარ იპოვნიან განსვენებას, ვერავის წინაშე ველარ მივლენ, რომ შესჩივლონ თავიანთ ტკივილები, უღელი მათი ისევ აწვება მათ კისერს აუტანელი სიმძიმით, მათ მოაკლდა ღვთიური მოსარჩლე და ბნელი, უკუნი ბნელი იცავს ქვეყანას, ეხსნება ფართო გზა ქვეწარმავალთა, კიდით კიდემდე გაისმის სატანის ჯოჯოხეთური ხარხარი, რომელსაც ბანს აძლევს მრავალ-ჟამიერი მწიგნობართა და ფარისეველთა... ძე კაცისა გამტყუნდა!

მხიარულია რობინი და დასცინის მტირალთა.

*
* *

რობინი რამდენიმე ფარისეველთან ერთათ სახლის მოაჯირზე გადმოწოლილიყო. დიდ ხანს დასცინოდენ ისინი იუდას, რომელსაც თავი ჩამოეხრჩო. დიდ ხანს დასცინოდენ იესოს, რომელიც ღმერთათ აღიარებდა თავის თავს და ახლა კი გულ-ხელ დაკრეფილი ასვენია შავ სამარეში. ამასობაში შუა ღამემაც მოატანა. ფარისევლებმა წასვლა დააპირეს, რომ უცბათ ერთმა არა ჩვეულებრივმა მოვლენამ მიიქცია იმათი ყურადღება. იმ კედრით საითაც გეთსიმანიის ბაღი იყო, რალაც ნათელი გამოჩნდა, რომელიც თანდათან მატულობდა და მატულობდა. იმათ ეუცხოვათ ეს და უფრო დააკვირდენ. იმათ თვალებს ვეებერთელა ალი დაუდგა წინ.

— არიქა, ვუშველოთ იერუსალიმი იწვის! წამოიძახა რობინმა და ზე წამოიჭრა. სხვებიც წამოდგნენ.

— იერუსალიმი კი არა, ეს ნაზარეველი აღდგა მკვდრეთით! ჩასჩურჩულა იმათ რალაცამ ყურში და მიქრა.

— ეს ვინ იყო რობინ? იკითხა ზარ დაცემულმა ფარისეველმა.

— ვინ იყო, ნაზარეველი აღდგაო რომ გვითხრა? წამოიძახა მეორემ.

— ვინ იყო ის, ვინ იყო? დაიღრიალა რობინმა.

— იესო ნაზარეველი, რომელიც თქვენ აწამეთ მკვდრეთით აღდგა! ვაი თქვენდა მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო!.. მკაფიოთ გაისმა ჰაერში და ალიც საყოველთაოთ ხილულ იქნა.

— ჩვენ ნუ დავინახავთ, თვალები დავხუჭოთ! წამოიძახა რობინმა და პირქვე დაემხო.

— ნურც დაგინახავთ ნურაფერი სიკეთე! დაიკვნესა ბუჩქებში მიმალულმა ტოროლამ, ფრთა ფრთას შემოკრა და მხიარული გალობით აინავარდა ზეცისკენ.

პირქვე დამხობილი რობინი და ფარისევლები კი ჩუმი წყევით შეხვდენ გათენებას. მათთვის ახლა იწყებოდა სალამო...

სპირიდონ მციოიშვილი

ნ ა დ უ ლ ი.

შუქ-ულეველი,
დაუძლეველი
საძალთა-ძალო ქებათა-ქება,—
წარსულის სხივი,
ვით ოქროს მძივი
დღესაც თვალს მტაცებს, მელაპლაპება!

—

გულს ძალას მმატებს,
მაანდამატებს...
მანვე ამხადა პირს საცო, რიდე,
რომ გულის ძგერით,
სიმთა ტკბილ-მღერით
მივწვდე მომავალს, არ თუ ცრემლს ვღრიდე!..

—

ჰოი, გოლგოთა, ძველი გოლგოთა!
რა სამწუხარო მოსაგონია!..
ფიქრთა მომგვრელი, დამღონებლეი
იმას თვისება აქვს და ჰქონია...
დღეს ძლევა-მოსით მოიყურება
იმავე მთიდან წამების ჯვარი,
ზედ რომ ღალატით მომსჭვალულ იყო
თვით უდიდესი მცნების მოძღვარი!..
სულის ძრწოლას გვრის ის კაიაფას,
გული ეხუთვის, უწივის ყური...
და პილატესაც ცნობა მიხდია:
მან ხომ მართლის მტერთ მისცა დასტური!...
და ვინც მეგობრის წმინდა ამბორი
მოღალატობის კვერთ ათ იხმარა,
მის უსულო გვამს ქარი აქანებს,
სხვა სასჯელი რომ აღარ იკმარა!..

—

დღეს რაღას ვხედავ?
თქმასაც ვერ ვბედავ!..
უტყვათ ვქცეულვარ მე ღვთის ხატება!..
მხოლოდ ვდუმარებ
და ვასამარებ
გულშივე მას, რაც იქ იბადება!..

—

და ჯვარის მტვირთველს
შუა ბრძოლის ველს
რომ ვხედავ უკვე წამოჩოქილსა,
ჩუყდება გული,
სისხლით ნამული,
როცა ბრბო მაზე ილესავს კბილსა...

—

მაგრამ იმავ წამს
ჩემ თვალწინა დგას
გოლგოთას მსხვერპლი გაბრწყინვებული
და გულის ღელვას,
მსწრაფლსა, ვით ელვას,
მეც ალვიარებ გამხნევებული:

—

ვმირს, გრძნობის ცათ-მყვანს,
კრძალვით ვცემ თაყვანს,
მსურს მარად მის წინ ქედსა ვიხრიდე
და მებრძოლ-ფარით,
წამების ჯვარით
მივწვდე მყობადსა, არ თუ ცრემლს ვღვრიდე!..

დ. თომაშვილი.

მამულიშვილობა, ეროვნობა თუ ხალხის სამსახური?

(იხ. „კვალი“, № 14).

ამნაირათ ის, რასაც ჩვენში მამულიშვილობის სახელი ქვია, არის ნაშთი წარსულის, ცხოვრების განვითარებით უარ-

ყოფილი და მაშასადამე წინმსვლელობის უარმყოფელი. იყო დრო, როდესაც ამ „მამულიშვილთა“ ხმა ფარავდა ჩვენში თითქმის ყველა დანარჩენ ხმებს, ვინაიდან პირველ ხანებში ყველაზე უფრო შესამჩნევ და დიდ ჯგუფს მაინც ეს ძველი დროის დანატოვარი მომაკვდავი ჯგუფი წარმოადგენდა. მაგრამ თანდათან პატარა ნაკადულები, ამ დიდ ტბის გვერდით ამოხეთქილი, თხრიდენ ახალ კალაპოტს და თვითონაც იზრდებოდენ, ისე რომ მათი ჩქეფვა ჯერ შეუმჩნევლათ აძლევდა თავისებურ კილოს ჩვენი ცხოვრების საერთო ხმას, მერე თანდათან გაძლიერდა და ახლა თვითონ დაფარა ერთ დროს მარტოთ-მარტო გაბატონებული მამულიშვილური გლოვის ზარი. ახალმა ცხოვრებამ დაბადა ახალი კითხვები. ამნაირათ იშვა **ეროვნობა.**

რას შეიცავს ეს ახალი იდეა? ვინ წამოაყენა ის ჩვენში? ვინ დაეპატრონა მას? ვინ გაიტანს მას ნამდვილათ ცხოვრებაში თავის მხრებით?—აი ჩვენი გასარკვევი კითხვები.

ყველამ იცის ამ კითხვების პასუხი, როდესაც ევროპის შესახებ არის ლაპარაკი. იქ ეროვნულ კითხვის წამომყენებელი, ეროვნულ აღორძინების მეთაური და ცხოვრებაში გამტანი ბურჟუაზია იყო. ევროპის ყოველ ქვეყანაში დაახლოვებით ერთი პროცესი მოხდა. ფეოდალურ წყობილების სიღრმეში საწარმოვო ძალთაგან ვითარებამ შეამუშავა მატერიალური პირობები ახალი ცხოვრებისათვის; ამავ დროს იქვე იშვა და გამაგრდა ახალი კლასი, ბურჟუაზია, რომელიც ახალ ცხოვრებას ჩაუდგა სათავეში და ზოგან ნელი, შეურყეველი ნაბიჯით, როგორც ინგლისში, ზოგან ერთბაშათ, რევოლიუციის ჭექა-ქუხილით, როგორც საფრანგეთში, შეანგრია ისტორიის კარი, დაამსხვრია ძველი ცხოვრება, ჩამოაგდო ტახტიდან ძველი ბატონი და თვითონ ავიდა ტახტზე.

ასეთი რიხით გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე ბურჟუაზია და გამოატინა თავის ბაირაღი, რომელსაც ეწერა ზედ „ეროვნობა“.

რას შეიცავდა ეს „ეროვნობა“?

პირველ ხანებში—მართლა საერო საქმეს. ერის გაერთიანება, მის შიგნით ამართულ ფეოდალურ ზღუდეების დანგრევა, ადამიანის ყოველგვარ პირად დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება,—ერთი სიტყვით, ძველი ჯაჭვების სრული დამსხვრევა და ახალ, თავისუფალ ცხოვრების დამკვიდრება,—აი რა იყო იმ დროს ბურჟუაზიისაგან გამოცხადებულ ეროვნობის შინაარსი. და მან მართლა მთელ ერს უწინამძღვრა, მის დროშის ქვეშ მართლა მთელმა ერმა მოიყარა თავი ძველ წყობილებასთან საბრძოლველათ.

მაგრამ, როდესაც გათავდა ყველა ეს, როდესაც მოისპო მთლათ ძველი ცხოვრება და ახალი გზა გაიკაფა, იცვალა ფერი ბურჟუაზიამ და მის ეროვნულ იდეას სხვა შინაარსი მიეცა. ახლა მთელ ერს ბურჟუაზიასთან საერთო მტერი და, მაშასადამე, მასთან საერთო საქმეც გაუქრა. ერი, ეკონომიურათ დაყოფილი, რასაკვირველია, ინტერესებითაც დაიყო. მშრომელთა მონობა ახალ საზოგადოებაშიაც დარჩა, მხოლოდ ის, რაც წინათ იურიდიულათ იყო განმტკიცებული, ახლა «თავისუფალ» ეკონომიურ დამოკიდებულათ შეიცვალა. წინათ თუ გლეხი და ფეოდალი იდგა ერთმანეთის პირდაპირ, ახლა მუშა და ბურჟუა დაუპირდაპირდა ერთიმეორეს. ახალი ცხოვრების ვითარება საშინელი სისწრაფით თხრიდა ორმოს მათ შორის, აღარიბებდა ისედაც ღარიბს, ამდიდრებდა ისედაც მდიდარს, ამრავლებდა უმისოთაც მრავალ უსაკუთრო პროლეტართა რიცხვს, ამცირებდა უმისოთაც მცირე მესაკუთრე-ბურჟუათა ჯგუფს. ამის შედეგი—შეურიგებელი ბრძოლაა ამ ორ ჯგუფს შორის. პროგრესის დროშა ბურჟუაზიის ხელიდან მის მოპირდაპირეს ხელში გადადის. მაგრამ ბურჟუაზია, რომელმაც ცხოვრებაში ძველი „მამების“ ადგილი დაიკავა, ითვისებს გაბატონებულ ხასიათს, პსიხოლოგიასაც და თავის ახლა განკერძოებულ ინტერესს ისევ საერო საქმეთ გამოაქვს, თავის კლასობრივი მისწრაფება ეროვნობათ,და ამნაირათ აქაც ხალხის წინააღმდეგ მიმართული პრინციპი ხალხის სახელით ინათლება.

ახლა ვიკითხოთ, რათ გახდა ბურჟუაზია პირველ ხანებში მთელი ერის მეთაურათ, მთელი ცხოვრების ამაღორძინებელ ძალათ, ეროვნულ დროშის ხელში დამჭერათ? და თუ ეს ასე მოხდა ევროპაში, ჩვენ კი ევროპის გზას დავადექით, ჩვენი ეროვნული აღორძინებაც ამნაირათვე არ უნდა მოხდეს, ჩვენშიაც ასეთსავე ხელში არ უნდა გადავიდეს ჯერ-ჯერობით ეროვნული დროშა?

ჩვენი „ნაციონალისტები“ გვეუბნებიან, დიახ ეს აუცილებელი იყო ევროპისათვის, და აუცილებელია ჩვენთვისაც, თუ ეროვნული სიცოცხლე გვინდაო.

ვნახოთ, მართალია ეს, თუ არა.

რასაკვირველია, ის, რაც ევროპაში მოხდა, არ იყო უბრალო შემთხვევის ბრალი. ევროპაში ყოველი ერის ბურჟუაზია ამყარებდა თავის ქვეყანაში ახალ წარმოებას, რომელიც ითხოვდა პიროვნების განთავისუფლებას ფეოდალურ უღლიდან—ამიტომ ევროპაში ეროვნული ბურჟუაზია ფეოდალიზმის დამანგრეველი შეიქმნა. ევროპაში ყოველი ერის ბურჟუაზია უდგა სათავეში ახლათ აღორძინებულ ვაჭრობას და მრეწველობას, რომლებიც აერთიანებდენ შრომის დანაწილებით და მისვლა-მოსვლის გახშირებით ერის სხვადასხვა კუთხეებს—ამიტომ იქ ეროვნული ბურჟუაზია ერის გაერთიანების შემქმნელი და მოთავე გახდა. ევროპაში ყოველი ერის ბურჟუაზია დანარჩენ კლასებზე ადრე ითვისებდა ახალ განათლებას, რადგანაც ამისათვის სხვებზე მეტი დროც და შეძლებაც ქონდა,— ამიტომ იქ ბურჟუაზია შეიქმნა—ეროვნულ კულტურის ლამპრათ.

და რა გასაკვირალია, რომ ერის მებაირაღეთ ეს ყველაზე უფრო დაინტერესებული ეროვნულ აღორძინებაში, მატერიალური პირობებით წინ წამოყენებული და სხვებზე უფრო შეგნებული კლასი გამოვიდა?

ჩვენი ქვეყნის ცხოვრება კი, თუმცა ამავ მიმართულებას დაადგა, მაგრამ სხვა ძალების საშუალებით ამუშავდა და ეროვნულ აღორძინებას სხვა მეთაურობით შეუდგა *).

აქ თავისებურმა პირობებმა თავისებური ნაყოფი გამოიღეს.

ჩვენი ქვეყნის პატარა ნავი ისტორიულმა მსვლელობამ სხვა უფრო დაწინაურებულ ქვეყნის დიდ გემს მიაბა, ისე რომ ძველ საზოგადოებრივ წეს-წყობილების ბოლომომღებ ძალათ ვაჩნდა გარეგანი ძალა. გლეხების განთავისუფლება ჩვენში უცხო ერის და არა ჩვენი ბურჟუაზიის საქმე იყო. მართალია, ეს რომ სხვას არ ექნა, ამასვე ადრე თუ გვიან ჩვენი ბურჟუაზია მოახდენდა, მაგრამ ჩვენ იმაზე კი არ ვლაპარაკობთ, რაც მოხდებოდა, არამედ მაზე, რაც მოხდა. ეს-ევე ითქმის ერის სხვადასხვა კუთხეების ერთმანეთთან დაკავშირებაზე რკინის გზით, ხიდებით, ფოსტით და ტელეგრაფით.

მეორე მხრით ახლათ აღორძინებული ვაჭრობა და მრეწველობა, რომლებმაც აამუშავა ჩვენი ქვეყნის დაღუმებული ძარღვები, უცხო ტომის ბურჟუაზიის, განსაკუთრებით სომხების ხელში იმყოფებოდა და უმთავრესათ ახლაც იმყოფება. ამგვარათ შეიქმნა მატერიალური პირობები ჩვენი ეროვნული

---

*) ამ კითხვების შესახებ იხილე აგრეთვე წერილი ა. წულუკიძისა „სხვაგან და ჩვენში“ (კვ. № 52 1902 წ.)

ცხოვრებისათვის, და შეიქმნა არა ჩვენი ბურჟუაზიის ხელით. იშვა ჩვეშიაც ეროვნული იდეა, მაგრამ მან სრულებით სხვა კლასი ნახა თავის დამცველათ და ცხოვრებაში შემტანათ, ვიდრე ევროპაში. თუ ახალ საზოგადოებრივ წყობილებას ვერ შეუდგა მხარში ჩვენი ბურჟუაზია, კაპიტალის წარმომადგენელი სამაგიეროთ ჩვენი მშრომელი ერი, შრომის წარმომადგენელი, გამოიყვანა აბპარეზზე ახალმა ვითარებამ, უკვე შეძენილი აქვს. ჩვენს ბურჟუაზიას ცხოვრებამ წინ გაასწრო მართალია, ჯერ ფეოდალური ცხოვრების ნგრევის საქმე, რომელიც ევროპის ბურჟუაზიამ იტვირთა თავის ქვეყანაში, გათავებული არ არის ჩვენში, ბევრი ძველი დროის დანატოვარი აფერხებს თანამედროვე ჩვენს ცხოვრებას, მაგრამ ამ საქმის მოთავეობა ჩვენში სულ სხვა საზოგადოებრივმა ჯგუფმა იტვირთა. ერთის სიტყვით, იმ პროგრესიულ როლს, რომელიც ევროპაში ეროვნულმა ბურჟუაზიამ შეასრულა, ჩვენში ჯერ უცხო ერის ბურჟუაზია ასრულებდა, შემდეგ კი ჩვენი ერის სულ სხვა ჯგუფებმა მოკიდა ხელი. ეს უკანასკნელი შეიქნა ეროვნობის ერთათ ერთი მატარებელი, იმ ეროვნობის, რომელიც ცხოვრების განახლებაში მდგომარეობს და მშობელ ენაზე ხალხში ახალი განათლების შეტანაში.

რამდენათაც ჩვენი ახლათ დაბადებული ბურჟუაზია ამ საქმეს ემსახურება, იმდენათ ისიც ეროვნულია, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. რამდენათაც ის ამ ჯგუფის ჰეგემონიას სცილდება და მხოლოდ საკუთარ გამაგრებაზე და გაძლიერებაზე ფიქრობს, იმდენათ ის „ეროვნულია“ ამ სიტყვის ბურჟუაზულ მნიშვნელობით.

ახლა ჩვენ ვიცით, რა სახის ეროვნობაა ის ეროვნობა, რომელსაც ხალხის სამსახურს უპირდაპირებენ. მისი ერთათ ერთი შინაარსი არის ბურჟუაზიის კლასობრივი მისწრაფება, მისი ხალხზე გაბატონება, ერთი სიტყვით, ყველა ის კონსერვატიული მხარე, რომელიც ბურჟუაზულ წყობილებას აქვს შეთვისებული დღეს და რომელიც ჯაჭვით აქვს შემორტყმული ხალხის ცხოვრებას.

ამიტომ არის, რომ ეს ეროვნობა სხვა ეროვნობის დევნაში იხატება, ამიტომ სცდილობენ ჩვენი ბურჟუა-ნაციონალისტები სომხებთან „ეროვნულ საერთო ნიადაგზე“ ბრძოლის გამართვას. ცალი მხრით მათ სურთ თავის ძლიერ კონკურენტისათვის ბაზრის წართმევა და ეს კი მაშინ უფრო მოსახერხებელია, როდესაც საერო საქმეთ გამოცხადდება; მეორე მხრით ორ ხალხს შორის ეროვნულ შუღლის ჩამოგდებით მათ სურთ ამ ორი ერის მშრომელ ნაწილთა ერთმანეთისაგან დაშორება და დასუსტება. რომ მით ქართველ ბურჟუაზიას მათგან სისხლის წოვა გაადვილდეს. ამიტომ არის, რომ ერის მოღალატეთ გამოყავთ მათ ისენი, ვინც ამ საქმეში მათ არ ეხმარება; ვინც სომხის ბურჟუაზიას იმავე ნიადაგზე ებრძვის, როგორც ქართველი, და სომხის ხალხთან კი მჭიდრო კავშირს იჭერს...

ჩვენ გავარჩიეთ ის, რაც დღეს ჩვენში „მამულიშვილობის“ ან „ეროვნობის“ სახელით გამოაქვთ და დავინახეთ, რომ პირველი არის ნაშთი წარსულის, მეორე ნაყოფი ახალი ცხოვრების, პირველის შინაარსი ფეოდალურია, მეორესი ბურჟუაზიული, პირველი არის რეგრესიული, უკან დამხევი მოვლენა, მეორე კონსერვატიული, წინ-მსვლელობის შემფერხებელი, ერთის და მეორეს ნიადაგიც კლასობრივია, ერთიც და მეორეც ნამდვილ მამულის, ნამდვილ ერის წინააღმდეგ არის მიმართული. და თუ მაინც ერთსაც და მეორესაც დღეს ჩვენში ბევრი მიმდევარი ყავთ, ეს ჯერ იმიტომ, რომ ბევრის აზროვნობა ამ ორი კლასის პსიხოლოგიით არის შეღებილი, და მეორეთ იმიტომ, რომ დღევანდელი პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი არავის არაფერს ავალებს, რომ სამშობლოს დაკარგულ დიდებაზე ან ქართველ ბურჟუაზიის ეროვნულ დანიშნულებაზე ლაპარაკი, „მამულის“ სომხებისაგან დაცვაზე ან მათთან „ეროვნულ“ ბრძოლაზე ყვირილი ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ნამდვილი მამულიშვილობა და ეროვნობა, ე. ი. ხალხის სამსახური...

მაგრამ ამაზე, თუ დაგვცალდა, შემდეგ წერილში ვილაპარაკებთ.

ყვირილელი-

სხვადასხვა ამბები.

გუბერნატორმა ოფიციალურათ აცნობა ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილეს, რომ ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი დამტკიცებულ იქნა ქალაქის მოურავის თანამდებობაზე.

კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ უკვე გაუგზავნა მთავრობის მიერ დამტკიცებულ კომიტეტს მოხსენება ამიერ-კავკასიის სკოლებში ადგილობრივ ენების შემოღების შესახებ, და აგრეთვე შუამდგომლობანი პოლიტეხნიკუმის დაარსებისა და ერობის შემოღების შესახებ.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის სამზრუნველო კომიტეტს გადაუწყვეტია მომავალ სამოსწავლო წლიდან შეუდგეს ამ სკოლის მე-5 და მე-6 კლასების დაარსებას. სამზრუნველო კომიტეტს ამის შესახებ მოხსენება გამოუგზავნია „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობისთვის.

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის კრება დანიშნულია 20 აპრილისთვის. კრება მოხდება კუხში.

ამას წინეთ ვწერდით, რომ საერო განათლების სამინისტრომ შეიმუშავა ახალი პროექტი საშუალო შკოლისაო. ამ პროექტით საშუალო შკოლა ოთხნაირი იქნება: 1) გიმნაზია, სადაც ასწავლიან ლათინურსა და ბერძნულს და რვა წლის კურსი იქმნება; 2) გიმნაზია რვა წლის კურსითვე, მაგრამ მარტო ლათინურის ენით; 3) რეალური სასწავლებელი და 4) ექვს კლასიანი შკოლა. ახლა გაზეთები გადმოგვცემენ, რომ სამინისტროს ამ პროექტის გარდა მეორეც შეუმუშავებია. მეორე პროექტით ერთი საშუალო შკოლა იქნება. პირველი ოთხი კლასი ამ საშუალო შკოლაში ყველგან ერთნაირი უნდა იყოს, განსხვავდება მხოლოდ უფროსი კლასები. ზოგ შკოლის უფროსს კლასებში ასწავლიან ძველ ენებს— ეს იქმნება კლასიკური განყოფილება, ზოგში არარეალური განყოფილება. რეალურ განყოფილებაში სწავლადა-მთავრებულთ შეეძლებათ უნივერსიტეტის მხოლოდ ზოგიერთ ფაკულტეტზე შესვლა.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობა, რომლითაც იგი სამინისტროს 24,160 მანათს სთხოვდა გამოფენაზე დადებულ ვალის გასასტუმრებლათ, მიწათმოქმედების სამინისტროს შეუწყნარებია.

როგორც გვატყობინებენ, დიდ გაჭირვებაში არიან თურმე ის ებრაელნი, რომელთაც შარშან ცხინვალში სახლები გადაეწვათ. შემოწირულებანი და სხვადასხვა წარმოდგენის შემოსავალი უმთავრესათ დაზარალებულთა გამოკვებას მოუნ-

და. ამ ჟამათ დამხმარებელ კომიტეტს მხოლოთ 300 მანათი ღა აქვს. ბევრნი ჯერ ახლაც უსახლ-კარონი არიან და აქა-იქ სოფლებში ცხოვრობენ. საჭიროა ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს საზოგადოებამ და მთავრობამ.

კორესპონდენციები.

დ. თიანეთი. მე, როგორც მოგეხსენებათ ახლანდელი ყმაწვილი კაცების ამბავი, უფრო უსაქმურობის მიმდევარი ვარ, ვიდრე საქმიანობის და გულწრფელათ მრწამს ჩინური მცნება—დგომას ჯდომა სჯობიათ. საქმეში თავზარის მტვრევას, ქეიფი და დროს გასატარებელი მასლაათი, რომელიც ტვინს ძალას არ ატანს, გაცილებით მირჩევნია.

თიანეთში გვაქვს წიგნთსაცავ-სამკითხველო „ზალით“, მაგრამ მე იქ სიარულით თავს არ ვიწუხებ და კარგადაც ვშვრები: ჩემზე ნასწავლები, ჩემზე ჭკვიანები, ჩემზე დარბაისლები აქ ბევრნი არიან, მაგრამ ისინიც კი არ იწუხებენ თავს ამ „ზალაში“ სიარულით და მე ვინ უნდა დამგმოს!

საუბედუროთ, „დროს მოკვლა“ ისე ადვილი საქმე არ არის თიანეთში, რადგანაც აქაური საზოგადოება სულ მოსამსახურეთაგან შესდგება და ამათ ხომ სადილობამდის არა სცალიანთ. ამიტომ ჩემი დიდი გასართობი სადილობამდის მაზრის სამართველოს და მომრიგებელ სასამართლოს ეზოებია. ღმერთმა დაუმადლოს ამ ორივე სასამართლოს,—ფართო და მწვანით მოსილი ეზოები აქვთ და ხალხი ხომ ყოველთვის მრავალია. რომ სიზარმაცე არ მართმევდეს თავს და ყოველ დღე დავდიოდე ამ სასამართლოებში, ყოველთვის მეცოდინებოდა თელი მაზრის ახალი ამბები და ხანდისხან „კვალის“ მკითხველებსაც გავუზიარებდი. აი სწორეთ ამ აზრით გავემგზავრე დღეს მომრიგებელ სასამართლოსკენ. ეზოში ბევრი ხალხი იდგა ჯგუფ-ჯგუფათ და ყველა თავის საქმეზე ლაპარაკობდა. პირველ ჯგუფში იყვენ ცალ მხარეს ერთი ფშაველი და მეორე მხარეს—მოძველებულ ფარაჯაში გახვეული მოხუცებული გლეხკაცი, რომელიც ეუბნებოდა ფშაველს: „რას მემართლები, რა დაგიშავე, რომ ტყუილ-უბრალოთ მაჩივლებ თერთმეტ თუმანს? როდის დაგიკავე კაკალი, ან ღვინო როდის დაგილიე? კაკალი ხომ შენ თითონ დაკავე შენს ნათლი მამა ბეწიონას და ღვინო, რაც გამოგივიდა, ხომ ბალდას მიეცი?“ აქვე იდგენ ამ საქმეზე მოწვეული მოწმები და ბევრნი მათგანი გაკვირვებით იქნევდენ თავს. მოწმებში ორიოდე ჩემი ნაცნობი გლეხკაცი იყო, რომლებმაც მითხრეს, რომ თურმე იმ ფშაველის ვენახს აკეთებდა გლეხი ერთ წელიწადს; როცა ყველი გაუვიდა, მიიწვიეს მამასახლისი, გაუსწორდენ ერთმანეთს და ხელწერილი თვით მამასახლისმა დაუხია; გავიდა წელიწადზე მეტი და მერე ფშაველმა უჩივლა იმ გლეხს, რომ ერთი საპალნე ღვინო დამილია, რომელიც ღირდა ათი თუმანიო და კაკალი დამიკავა თუმნის საღირალიო. მოწმეთ მომჩივანს დაუწერია მთელ მაზრაში კარგათ ცნობილი მღვდელი №, რომელიც სხვადასხვა საქმეთა საგმიროთ გამო, მისგან ჩადენილთა, დღეს დიბეს-ყორეთ არის დარჩენილი. დიახ ამ სულიერ მამას უნახავს, რომ ფარაჯიან გლეხს დაელიოს ერთი საპალნე ღვინო მომჩივნისა და კაკალიც დაეკავოს. იმავე ჯგუფში იდგენ მოპასუხის მახლობელი მეზობლები, რომლებიც კვირობდენ ამისთანა უცნაურს შარს ფშაველისას და ბოლოს ერთმა მათგანმა, რომლის სიტყვაც ყოველთვის დასაჯერია, მითხრა: „ბატონო, როგორც შენ არ დაგიხარჯავს მომჩივნის ღვინო და არ დაგიკავებავს მისი კაკალი, ისე ამ საწყალ კაცსაო, მაგრამ სულ იმ №-ი მღვდლის ბრალია,—იმან მიუსია ფშაველიო“.

ღირს-შესანიშნავი ამ საქმეში კიდევ ის არის, რომ თურმე „ზაიავლენიე“ ფშავლისა იმავე მოწმის მღვდლის ხელით არის დაწერილი. მაგრამ რა არ არის ამ საქმეში ღირს-შესანიშნავი? ეს მოძღვარი გუშინ ამბიონიდან სიტყვასა მღვთისასა ქადაგებდა და დღეს კი... ღმერთო გვიხსენ უარესისაგან, თუ კი შესაძლებელია ამაზე უარესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ზ რ ი

(ლეონიდე ანდრეევისა)

(გაგრძელება *).

ფურცელი მეხუთე.

მეორე ბნედის შემდეგ ჩემი ეშინოდათ. ბევრი ოჯახის კარები დამეხურა ცხვირწინ. შემთხვევით თუ ვინმე ნაცნობი შემეყრებოდა, იკვანწებოდა, ბინძურათ გამიღიმებდა და დიდ მნიშვნელოვანათ მეკითხებოდა:

— როგორ გიკითხოთ?

მდგომარეობა სწორეთ ისეთი იყო, რომ მე შემეძლო, როგორიც მსურდა ისეთი უკანონობა ჩამედინა და ჩემდამო პატივისცემა კი დამეცვა. მე ვუცქერდი ადამიანებს და ვფიქრობდი: თუ მომესურვება, მე შემიძლია ამ და ამ კაცის მოკვლა და არაფერი კი არ შემხვდება. და ის, რასაც ამ ფიქრის დროს ვგრძნობდი, იყო რაღაც ახალი, საამო და თან რამოდენიმეთ საშიშარიც. ადამიანს თითქოს ჩამოშორდა ქეჩო, თითქოს ის გატიტვლდა და იმისი მოკვლა თითქოს კარგავდა მნიშვნელობას.

შიში ისეთი მაგარი კედლით მიცავდა მე ცნობის მოყვარე თვალთაგან, რომ თავისთავათ ქრებოდა საჭიროება მესამე გამოსაცდელი ბნედისა. მხოლოდ ამ მხრით გადავუხვიე მე ჩემს გეგმას, მაგრამ ტალანტის ძალაც იმაში მდგომარეობს, რომ ის არ იბორკავს თავს და გარემოების დაგვარათ ცვლის ბრძოლის მსვლელობას. მხოლოდ საჭირო იყო ჯერ კიდევ ოფიციალური პატიება ჩადენილი ცოდვებისა და ნებართვის აღება შემდეგი ცოდვების ჩასადენათ, ე. ი. საჭირო იყო მეცნიერულ-მედიცინური დამოწმება ჩემი სენისა.

აქაც ისე მოიყარა გარემოებამ თავი, რომ მიმართვა ფსიხიატრისადმი შეიქნა შემთხვევითი, თითქმის ნაიძულები. ეს იყო შეიძლება ზედმეტი, მაგრამ ზედმიწევნით გამჭრიახი დამუშავება ჩემი როლისა. ფსიხიატრთან მე ტატიანამ და მისმა ქმარმა ალექსიმ გამგზავნეს.

— წადით დოქტორთან, ძვირფასო ანტონ ეგნატესძევ! მითხრა ტატიანამ. აქამდე მას არაოდეს ჩემთვის „ძვირფასი“ არ დაუძახნია და სულელი უნდა ვყოფილიყავი, რომ ეს ფარისევლური ალერსი მიმეღო.

— კარგი, წავალ ძვირფასო ტატიანა ნიკოლოზის ასულო!—მორჩილათ მივუგე მე. ჩვენ სამივე—ალექსიც იქ იყო—კაბინეთში ვიჯექით, სადაც შემდეგში მკვლელობა მოხდა.

— დიახ, უეჭველათ უნდა წახვიდე ანტონ,—ავტორიტეტულათ დაკრა კვერი ალექსიმ,—თორემ შენ რაიმეს ისეთს ჩაიდენ...

— რა უნდა „ჩავიდინო?“ მხდალათ შევეკითხე ჩემს სასტიკ მეგობარს.

— ვინ იცის; ვინმეს თავს გაუხეთქ.

მე ვატრიალებდი ხელში თუჯის მძიმე პრეს-პაპიეს, ვუცქეროდი ხან ამ საგანს, ხან ალექსის და ვეკითხებოდი:

— თავს? შენ ამბობ თავს?

— ჰო თავს. წამოატან ხელს აი ასეთ რამეს და გათავდა.

ეს საყურადღებო იყო. სწორეთ ამ საგნით ვაპირებდი მე თავის გახეთქას და ის თავი, რომელსაც ეს მოელოდა, ის თავი

---

*) იხ. „კვალი“ № 14.

ბჭობდა, თუ როგორ მოსდებოდა ეს. ბჭობდა და უდარდელათ ილიმებოდა. და არის კი ხალხი, რომელსაც რწამს წინათგრძნობა, რწამს რომ სიკვდილი წინდაწინ უგზავნის ადამიანს რაღაც უხილავ მოციქულებს—რა სისულელეა!

— კარგია, რა შეიძლება ასეთი საგნით,—ვუთხარი მე, —ეს ძალიან მჩატეა.

—- რას სულელობ: მჩატეა? ეოცა ალექსის, გამომგლიჯა პრეს-პაპიე, წაატანა ტარში ხელი და რამდენიმეჯერ გააქნია ჰაერში—აბა სინჯე!

— ვიცი, ვიცი...

— არა, შენ სინჯე ჯერ, აი აგრე სინჯე და ნახავ!

უნებური ღიმილით მე გამოვართვი მას პრეს-პაპიე, მაგრამ აქ ტატიანა ჩამოგვერია. გაფითრებული, აკანკალებული ბაგებით მან თქვა, უფრო დაიყვირა: ანტონ დაანებე თავი! თავი დაანებემეთქი, ანტონ!

— რა იყო ტანო, რა დაგემართა?

— თავი დაანებე. შენ იცი, რომ მე არ მიყვარს ასეთი ხუმრობა!

ჩვენ გაგვეცინა და პრეს-პაპიე სტოლზე დავდევი.

პროფესორმა ტ-მ ისე მიმიღო, როგორც მოველოდი. ის მომეკიდა ძლიერ ფრთხილათ, ლაპარაკში ძალიან თავდაჭერილი იყო, დინჯათ დამეკითხა, მყავს თუ არა ვინმე ისეთი ნათესავი, რომელსაც მოვლა შეეძლოს,"მირჩია სახლში ჯდომა, მოსვენება და დამშვიდება. მე, როგორც ექიმი, ცოტა გამოვეკამათე მას და თუ აქნამდე რაიმე ეჭვი ქონდა ჩემ სიგიჟეში, ამის შემდეგ ისიც გაუქრა და სამუდამოთ მომაქცია შეშლილთა სიაში. რასაკვირველია, თქვენ დიდ ყურადღებას არ მიაქცევთ ამ უბრალო ხუმრობას ჩვენი პატივცემული პროფესორის შესახებ: როგორც მეცნიერი, პროფესორი ტ. უეჭველათ დიდი პატივისცემის ღირსია.

შემდეგი რამდენიმე დღე მთელ ჩემ სიცოცხლეში უბედნიერესი დღეები იყო. მე მიცოდებდენ, როგორც სნეულს, მიკეთებდენ ვიზიტებს, მელაპარაკებოდენ რაღაც სულელურ, დამტვრეული ენით და მხოლოდ მარტო მე ვიცოდი, რომ სრულიად ჯანსაღი და სწორი და ნათელი აზრისა ვიყავი. ყველა იმ საკვირველებათა და საიდუმლოებათა შორის, რომლებითაც აგრე მდიდარია ცხოვრება, ყველაზე უფრო საკვირველი და მიუწდომელი ადამიანის აზრია; მაშია ღვთაება, მაშია უკვდავების წინდი და ყოვლის მძლევი ძალა, რომელმაც არ იცის თუ რას ნიშნავს დაბრკოლება. ხალხს აოცებს, როცა თოვლით დაფენილ და ცაზე მიბჯენილ მთის მწვერვალს შესცქერის, მაგრამ ისინი რომ თავიანთ თავს იცნობდენ, მაშინ ყველაზე უფრო მათდამი მინიჭებული აზროვნების ნიჭით გაოცდებოდენ. უბრალო აზრი შავი მუშისა, თუ როგორ ჯობია აგურის აგურზე დაშენება—აი უდიდებულესი სასწაული და ულრმესი საიდუმლოება.

და მეც ვსტკბებოდი ჩემი აზრით. უბრალო თავის სილამაზეში, ის მეძლევოდა გატაცებულათ, როგორც საყვარელი, მემსახურებოდა, როგორც მონა და მამხნევებდა, როგორც მეგობარი. ნუ ფიქრობთ, რომ ის სახლში გატარებული დღეები მე მარტოოდენ ჩემ გეგმაზე მეფიქროს. არა, ეს ნათელი და უკვე მოფიქრებული იყო. მე ვფიქრობდი ყველაფერზე. მე და ჩემი აზრი თითქო ვთამაშობდით სიკვდილ-სიცოცხლით და ქვეყნიდან მაღლა, სულ მაღლა დავფრინავდით. სხვათა შორის მე მაშინ გამოვიყვანე ორი საინტერესო ჭადრაკის გამოცანა, რომელზეც იქნამდე ამაოთ ვიტეხდი თავს. თქვენ ალბათ იცით, რომ სამი წლის წინეთ მე მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო ჭადრაკის ტურნირში და ლასკერს შემდეგ მეორე ალაგი დავიჭირე. მე რომ დიდების მტერი არ ვიყო, კიდევ შევებმებოდი ჭადრაკში და ლასკერს დავუთმობიებდი ალაგს.

იმ წამიდან, რაც ალექსის სიცოცხლე ჩემ [illegible] ძენი, მე მისდამი განწყობილებაც დამებადა, მე [illegible] მგვრიდა ის აზრი, რომ თუ ალექსი ცოცხლობს, სვამს, ჭამს და მხიარულობს, ეს იმიტომ რომ მე ვაძლევ ნებას. და რაც მაწუხებდა, ეს მხოლოთ მისი ჯანმრთელობა. მიუხედავათ მისი სუსტი აგებულებისა, ზედმიწევნით გაუფრთხილებელი იყო, არ უნდოდა პერანგზე სათბური გადაეცვა და ნოტიო ამიდში უკალოშოთ გამოდიოდა. დამამშვიდა ტატიანამ. ის შემოვიდა ჩემთან და მიამბო, რომ ალექსი ძლიერ კარგათ არის და კარგათაც ძინავსო, რაიც ძვირათ მოსდიოდა. ამ ამბით გახარებულმა მე მივეცი ტატიანას წიგნი ალექსისთვის გადასაცემათ. ეს იყო ძლიერ ძვირი ეკზემპლიარი, მე შემთხვევით ვიპოვნე, ალექსი კი დიდი ხანია იმას დაეძებდა. ეს საქციელი ჩემი პლანის მიხედვით შეიძლება შეცდომა იყო კიდეც, მაგრამ მე მაინც გულით მინდოდა მისი სიამოვნება და ამიტომ გავბედე.

ტატიანასთან იმ დღეს უფრო ტკბილი და უბრალო ვიყავ და კარგი შთაბეჭდილებაც მოვახდინე იმათზე. არც მას და არც ალექსის მე არ უნახავარ ბნედის დროს და იმათთვის ძნელი წარმოსადგენი იყო ჩემი სიგიჟე.

— შემოიარეთ ჩვენსას,—დამაბარა წასვლის დროს ტატიანამ.

— არ შეიძლება,—მიუგე მე ღიმილით,—დოქტორმა ამიკრძალა.

— არაფერია. ჩვენსას შეიძლება მოსვლა—გინდამც თქვენ სახლში ყოფილიყოთ. ალიოშას უთქვენოთ მოსწყინდა.

მე დავპირდი და არც ერთი დაპირება ასეთი ზუსტათ და გადაწყვეტილი არ მქონია, როგორც ეს. ეხლა მაინც აღარ გგონიათ, ბბ. ექსპერტებო, რომ მარტო მე არ გადამიწყვეტია ალექსისთვის სიკვდილი, არამედ კიდევ ვიღაცას სხვას? თავისთავათ კი არავინ ,,სხვა‘‘ არ ყოფილა და ყველაფერი უბრალო და ლოღიკურია.

თუჯის პრეს-პაპიე ძველ ალაგზე იდო, როცა მე 11 დეკემბერს, საღამოს ხუთ საათზე შევედი ალექსის კაბინეტში. ამ დროს, სადილის წინ—ისინი შვიდ საათზე სადილობდენ—ტატიანა და ალექსი კაბინეტში ისვენებდენ. ჩემი მისვლა ძლიერ იამათ.

— გმადლობ წიგნისთვის, ჩემო მეგობარო,—მითხრა ალექსიმ და ხელი მომიჭირა. მე თვითონ მოვდიოდი შენთან, მაგრამ ტატიანამ გადმომცა, კარგათ არისო. ჩვენ თეატრში მივდივართ—წამოდი ჩვენთან!

დავიწყეთ საუბარი. დღეს გადაწყვეტილი მქონდა, თავი არ მომეკატუნებია— ამაში თავისებური პირფერობა იყო— და ამის გამო ბევრსა და საინტერესო რამეებს ვამბობდი. ეჰ, რო იცოდენ საველოვის ნიჭის პატივისმცემლებმა, თუ რამდენი .,იმისი“ საუკეთესო აზრი უცნობი დოქტორ კერჟენცევის გულში დაბადებულა და აღზრდილა!

მე ვლაპარაკობდი ნათლათ, მარტივათ და გარკვეულათ; ამავე დროს ვუცქერდი საათს და ვფიქრობდი, როცა ექვსი შესრულდება მეც მკვლელი გავხდებიმეთქი. ვამბობდი რაღაც სასაცილოს და ისინიც იცინოდენ, მე კი ვცდილობდი დამემახსოვრებია იმ კაცის სულიერი მდგომარეობა, რომელიც მკვლელი არ არის, მაგრამ იცის, რომ მალე გახდება ასეთი. არა განყენებულ წარმოდგენაში, არამედ უბრალოთ ვხედავდი მე ალექსის სიცოცხლის პროცესს, მისი გულის ცემას, საფეთქელში სისხლის გადასხმას, მისი ტვინის უხმო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიბრაციას და იმასაც თუ როგორ გაწყდება ეს პროცესი, გული დაეთხოვა სისხლის გზავნას და შეჩერდება ტვინი.

რა აზრზე შედგება ის?

ჩემი შეგნების სინათლე არაოდეს ამ სიმაღლეზე არ ასულა, ჩემი საკუთარი „მეს“ მუშაობა არაოდეს არ ყოფილა აგრე ყოველმხრივი. თითქოს ღმერთი, მე ვხედავდი უთვალოთ, ვისმენდი უყურეთ, ვგრძნობდი უფიქროთ. შვიდი წუთი რჩებოდა, როცა ალექსიმ ზარმაცათ გაიწოდინა, წამოდგა და წავიდა.

— მე ამ წუთას დავბრუნდები, —თქვა მან.

მე არ მინდოდა ტატიანას ცქერა, მივედი ფანჯარასთან, გავწიე ფარდები და გავჩერდი. არც მომიხედია, ისე მივხვდი, რომ ტატიანამ გაიარა და ჩემ გვერდით გაჩერდა. მე შესმოდა მისი სუნთქვა, ვიცოდი, რომ ის ფანჯარაში კი არა, მე მიცქეროდა და დუმდა.

— რა მშვენივრათ ანათებს თოელი, —თქვა მან. მე პასუხი არ გამიცია. სუნთქვა გაუხშირდა და შემდეგ შეწყდა.

— ანტონ ეგნატეს ძევ! თქვა მან და გაჩუმდა.

მე ვდუმდი.

— ანტონ ეგნატეს ძევ! გაუბედავათ გაიმეორა მან და როცა მე უცებ შევხედე, იმან დაიწია, კინაღამ დაეცა, თითქოს ის გაეტყორცნოს იმ ძალას, რომელიც ჩემს გამოხედვაში გამოსჭვივოდა. დაიწია უკან და ეცა შემომავალ ქმარს:

— ალექსი, —ამბობდა ის, —ალექსი, ის...

— ჰო, ვინ ის?

უღიმოთ, მაგრამ ღიმილის კილოთი მე ვუთხარი ალექსის

— ის ფიქრობს, ვითომც მე შენი მოკვლა მინდოდეს აი ამით! და სრულიად მშვიდათ, ცხადათ, მე ავიღე სტოლიდან პრეს-პაპიე, ავწიე ხელი და დამშვიდებული მივუახლოვდი ალექსის. ის თვალ დაუხამხამებლათ მიცქეროდა მე და იმეორებდა::

— ის ფიქრობს...

— დიახ, ის ფიქრობს.

ნელ-ნელა მე ავამაღლე ხელი და ალექსიც იღებდა თავისას, თვალს კი არ მაშორებდა.

— დამაცა! მტკიცეთ ვუთხარი მე.

ალექსის ხელი შეჩერდა, თვალი კი მიინც არ მომაშორა. მის ბაგეზე კრთოდა ძლივს შესამჩნევი ღიმილი მაგრამ მკრთალი, მხდალი ღიმილი. ტატიანამ უცებ საზარლათ დაიკივლა, მაგრამ გვიანლა იყო. მე დავარტყი წვრილი კედრიდან საფეთქელში, თავის ქალასთან უფრო ახლო, ვიდრე თვალებთან და როცა ის დაეცა, მე დავიღუნე და ორჯერ კიდევ დავკარი. გამომძიებელი მეუბნებოდა, თითქოს მე ბევრჯერ დამერტყას მისთვის—მისი თავი ერთიანათ დამსხვრეულიაო. ეგ არ არის მართალი. მე დავარტყი მას სულ სამჯერ: ერთი, როცა ის იდგა, ორიც დაცემის შემდეგ.

მართალია ღონივრათ კი დავარტყი, მაგრამ მხოლოდ სამჯერ. ეს მე ნამდვილათ მახსოვს. სამჯერ.

ფურცელი მეექვსე.

ნუ ცდილობთ გაარჩიოთ მეოთხე ფურცლის დასასრულ რომ სიტყვებია წაშლილი და საზოგადოთ ასეთებს ნუ აძლევთ მნიშვველობას, თითქოს განგეჩ ეიგონებდე სიგიჟეს და ამ საქციელით ვასაბუთებდე. იმ ახირებულ მდგომარეობაში, რომელშიც მე თავი ამოვყავი, იძულებული ვარ ფრთხილი ვიყო, რასაც არ ვმალავ და თქვენც უნდა გესმოდეთ.

ღამის სიბნელე ყოველთვის ძლიერ მოქმედობს დაღლილ ნერვებზე და კიდეც ამიტომ არის, რომ ღამ-ღამობით მოდიან ხოლმე საშიში აზრები. იმ ღამეს, როცა მე კაცი მოვკალი ჩემი ნერვები ზედმიწევნით აშლილი იყვენ. როგორ არ ვიმაგრე თავი, მაგრამ კაცის სიკვდილი მაინც ხუმრობა არ არის. ჩაიზე მე როგორც იქნა რამოდენიმეთ ვძლიე თავი და წესიერათ ვიყავი: ფრჩხილები გავიბანე, [illegible] ცალი და დავუძახე მარიამ ვასილის ასულს: ის ჩემი [illegible] ცა და აგრეთვე ცოლის მაგიერიც არის. იმას მგონი განზეც ყავს საყვარელი, მაგრამ ის ლამაზი ქალია, წყნარია და არც ხარბია, რის გამო მე ადვილათ შევურიგდი მაგ გარემოებას. საყვარელი ყოველთვის უღალატებს იმ კაცს, ვინც ფულებით ყიდულობს სიყვარულს. ამ სულელმა ქალმა პირველათ დამკრა:

— მაკოცე! ვუთხარი მას.

მან სულელურათ გაიღიმა და ადგილიდან არ დაძრულა.

— მაკოცე, ჰო!

ის შეკრთა, გაწითლდა, შეშინებული თვალებით გადმოიწია სტოლიდან ჩემკენ და მითხრა:

— ანტონ ეგნატეს ძევ, სულიკო, წადით ექიმთან.

— რაო? გავუჯავრდი მე.

— ოჰ, ნუ ყვირით აგრე, მე მეშინია!.. მეშინია თქვენი!..

მას კი არა სცოდნია-რა არც ჩემი ბნედის შესახებ, არც მკელელობის და ყოველთვის ალერსიანათ და ტოლივით ვექცეოდი მას. მაშასადამე, ჩემში ყოფილა რაღაც ისეთი, რაც სხვებს არა აქვს და რაც აშინებს ადამიანს—გამიელვა თავში და იმავე წუთას გაქრა, დამიტია რა ახირებული გრძნობა სიცივისა ფეხებსა და ზურგში. მე მივხვდი, რომ მას გაგებული აქვს რაღაც სხვისაგან, ან მოსამსახურისაგან, ან და ჩემ მიერ დაყრილი გამონაცვალი ტანისამოსი ნახა და მერე კი ბუნებრივათ იხსნებოდა იმის შიში.

— წადით! ვუბრძანე მე.

მე დავწექი დივანზე, ჩემს ბიბლიოთეკაში. კითხვა აღარ მსურდა, ვგრძნობდი დაღლილობას, სწორეთ იმ მსახიობის მდგომარეობაში ვიყავი, რომელმაც მშვენივრათ ჩაატარა თავისი როლი. სიამოვნებას მგვრიდა წიგნების ცქერა და თან სასიამოვნო იყო ის ფიქრიც, რომ ოდესმე, შემდეგში მე შეძეძლება იმათი კითხვა. მე მომწონდა ჩემი ოთახი, დივანი, მომწონდა მარიამ ვასილის ასულიც. მიკრთოდენ თავში ფრაზების ნაწყვეტები ჩემი როლიდან, ვიგონებდი ყოველ ჩემს მოძრაობას, რომელიც კი მომიხდა, ხანდახან კრიტიკულათაც ვსჯიდი: ესა და ეს, ასე და ასე ჯობდამეთქი. მაგრამ ჩემ მიერ წამოძახილი „დამაცათი“ მე სწორეთ დიდი კმაყოფილი ვიყავი. ეს მართლაც რომ განსაცვიფრებელი ნიმუშია ზეშთაგონების ძალისა.

— „დამაცა!“ ვიმეორებდი მე, ვხუჭავდი თვალებსა და ვიღიმოდი... უცებ ჩემი წამწამები დამძიმდენ, მე მომინდა ძილი, რომ ამ დროს ზლაზვნით, უბრალოთ სხვა ასეთები, ჩემ თავში შევიდა ახალი აზრი. ის ყველაფრით გავდა ჩემს აზრს: სინათლით, სიმარტივით, უბრალოებით. ზლაზვნით შევიდა და გაჩერდა. აი ის აზრი სიტყვა-სიტყვით:

„შეიძლება დოქტორი კერჟენტევი მართლაც გიჟია. ის ფიქრობდა სიგიჟეს მოვიგონებო და ნამდვილათ კი გიჟია. ახლაც გიჟია ის“.

სამ-ოთხჯერ განმეორდა ეს აზრი და მე კი ისევ ვიღიმოდი, არაფერი გამეგებოდა: „ის ფიქრობდა სიგიჟეს მოვიგონებო და ნამდვილათ გიჟია კი, ახლაც გიჟია ის.“ მაგრამ როცა გავიგე... პირველათ მეგონა, რომ ეს ფრაზა მარიამ ვასილის ასულმა თქვა, იმიტომ რომ მე მესმოდა ხმა და ეს ხმა გავდა იმისას. შემდეგ ალექსიზე ვიფიქრე, დიახ, ალექსიზე, მოკლულ ალექსიზე. შემდეგ კი მივხვდი, რომ ეს ვთქვი მე და ეს იყო საშინელება. შუა ოთახში გაშეშებულმა მე ვიტაცე თმაში ხელი და ვთქვი:

— მაშ ასე. ყველაფერი გათავდა. მოხდა ის, რასაც ვერიდებოდი. მე ძალიან დავუახლოვდი საზღვარს და ახლა ერთი-ღა დამრჩენია წინ—სიგიჟე.

როცა ჩემ დასაჭერათ მოვიდენ, მე იმათი სიტყვით საშიშარი სანახავი ვიყავი—არეული, ტანზე შემოხეული, გაფითრებული, საშიში... მაგრამ ღმერთო! განა ისეთი ღამე რომ გადავიტანე და არ გავგიჟდი, ეს არ ნიშნავს ჩემი ტვინის სიძლიერეს? და მე კი მხოლოდ ტანზე შემოვიხიე და სარკე გავტეხე. მართლა, ნება მიბოძეთ ერთი რჩევა მოგცეთ. თუ ოდესმე ვინმე თქვენგანს ისეთი ღამე შეხვდეს, როგორც მე იმ ღამეს, გასტეხეთ სარკე იმ ოთახში, რომელშიაც თქვენ იქნებით. დიახ, დიახ, გასტეხეთ.

მე მეშინია ამაზე წერა. მეშინია, რომ ესენი უნდა ხელახლა მოვიგონო. მაგრამ გაჟიანურებაც არ შეიძლება და ასეთი სიმხდალით უფრო იმატებს საშიშროება.

ეს საღამო.

წარმოიდგინეთ დამთვრალი გველი, დიახ, დამთვრალი გველი: მისი სიბოროტე და შხამი მას აქვს, სიმარდე და სიჩქარე კი მოემატა, კბილები იგივე ჭრელი და გესლიანია. და ის მთვრალია, და ის დაკეტილ ოთახშია, სადაც შეშინებული ხალხია. და ის გაშმაგებული დახოხავს იმათ შორის, ეხვევა ფეხებზე, კბენს პირისახეზე, ბაგეებში, იკუმშება, რგოლდება და თავისავე სხეულს ჭამს. და გგონია, რომ ერთი გველი კი არა, ათასია, სრიალებენ, კბენენ და ყლაპავენ თავიანთ თავს. ასეთი იყო ჩემი აზრი, რომელიც მე მრწამდა და რომლის შხამიან კბილებში ვხედავდი ჩემს მცველსა და მხსნელს.

ერთი აზრი დაიყო ათას აზრათ, თვითეული მათგანი ღონიერი იყო და ყველა კი ჩემი მტერი. ისინი ტრიალებდენ ველური ცეკვაობით და საზარელი ხმა, ეს იმათი მუსიკა იყო, მუსიკა საყვირის მზგავსი, რომელიც გამოისმოდა საიდგანღაც, უძირო სიღრმიდან.

ეს იყო მარბენალი აზრი, გველზე უფრო საშიში, რადგანაც სიბნელეში იმალებოდა. თავიდან, სადაც მე ვცდილობდი გამეჩერებია ის, მირბოდა სხეულის ხვრელებში, შავ და გამოუკვლეველ ეუტრუტანებში. და იქიდან ის ყვიროდა, როგორც უცხო, როგორც გაქცეული მონა, გამედიდურებული იმ აზრით, რომ მას ველარ დასჯიან:

,,შენ გეგონა, რომ იგონებდი, გიჟი კი იყავი. შენ ბატარა, შენ ბოროტი, შენ სულელი, შენ დოქტორი კერჟენცევი ხარ. დოქტორი კერჟენცევი, გიჟო დოქტორი კერჟენცევი.

აგრე ყვიროდა ის და მე არ ვიცოდი, თუ საიდან გამოდიოდა ეს საზარელი ხმა—მე, ასე გასინჯეთ, არც ის ვიცი—თუ ის ვინ იყო. მე იმას აზრს ვეძახი, მაგრამ შეიძლება არც აზრი ყოფილიყოს, აზრი ის არის, რომელიც მტრედივით დაგტრიალებს თავზე, ის კი ყვიროდა საიდგანღაც, ქვევიდან, ზევიდან, გვერდიდან მე კი არ შემეძლო არც დანახვა მისი, არც დაჭერა.

და ყველაზე უარესი იყო ის აზრი, რომ მე არ ვიცნობ და არც ვიცნობდი ოდესმე თავის თავს. სანამ ჩემი ,,მე'' ჩემს განათლებულ თავში იმყოფებოდა, იმ თავში, სადაც ყველაფერი რიგსა და წესზე იძვრის, მე მესმოდა და ვიცნობდი თავს, ვფიქრობდი ჩემ ხასიათსა და გეგმაზე და ჩემივე თავის უფალი ვიყავი—ჩემი ფიქრით რა თქმა უნდა. ეხლა კი დავინახე, რომ უფალი კი არა, საცოდავი და ულონო მონა ვყოფილვარ. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ მრავალ ოთახიან სახლში გეჭირათ ერთი ოთახი მხოლოდ და გეგონათ კი მთელი სახლი მიჭირავსო. უცბათ კი გაიგეთ რომ სხვა ოთახებშიც ცხოვრობენ. დიახ ცხოვრობენ. ცხოვრობენ ვიღაც უცნაური არსებანი, შეიძლება ადამიანები, შეიძლება ვინმე სხვა და სახლიც იმათ ეკუთვნის. თქვენ გსურთ გაიგოთ თუ ვინ არიან, მაგრამ კარი დაკეტილია და არც ხმა, არც ოხერი არ ისმის. და ამავე დროს თქვენ იცით, რომ სწორეთ იქ, ამ კარებს უკან წყდება თქვენი ბედ-ილბალი.

მე მივედი სარკესთან... გასტეხეთ სარკე, გასტეხეთ!

შემდეგ მე არაფერი მახსოვს იქნამდე, სანამ სასამართლო და პოლიცია არ მოვიდენ. მე ვიკითხე, რამდენი საათია მეთქი და მითხრეს—ცხრაა. დიდხანს ვერ გავიგე, რომ ჩემი შინ მოსვლის შემდეგ მხოლოდ ორი საათი გასულა, ალექსის სიკვდილიდან კი სამი.

მაპატიეთ, ბბ. ექსპერტებო, რომ თქვენთვის ასე საჭირო მომენტი, როგორც ჩემი სულიერი მდგომარეობა მკვლელობის მემდეგ, მე ასე ზოგადათ ავწერე. მაგრამ მე არ შემიძლია ამაზე მეტი. მე არ შემიძლია ადამიანის ენით ავწერო ის საშინელება, რომელიც გამოვცადე. ამას გარდა გადაწყვეტით არც იმის თქმა შემიძლია, ეს ნამდვილათ გამოვცადე, თუ არა. შეიძლება ეს არ ყოფილა, არამედ სხვა რამე იყო.

მხოლოდ ერთი რამ მახსოვს მტკიცეთ—ეს აზრი, ანუ ხმა, ანუ სხვა რაიმე:

,,დოქტორ კერჟენცევს ეგონა, რომ ის იგონებს სიგიჟეს, გიჟი კიო''. ამ წუთას გავსინჯე ჩემი პულსი: ასოთხმოცია. ეს ახლა მარტოოდენ მოგონების დროს, მაშ რა იქნებოდა მაშინ?

ბ. ლომთათიძე.

(შემდეგი იქნება).

არ ვარგა, მარა მაინც კარგია.

კვალში ბ. ნ—ელმა უსაყვედურა ბ. გოგიჩაიშვილს თავის მოხსენებაში სასოფლო-სამეურნეო კრებაზე სრულიად უყურადღებოდ დატოვება იმ ძირითად მიზეზებისა, რომელნიც იწვევენ გლეხთა მიწის სიმცირეს და მათ გაღატაკებას. ბ-ნმა ნ—ელმა უსაყვედურა მოხსენების ავტორს, რომ უკანასკნელმა ვერ შეასრულა თავის თავზე მიღებული შრომა, მან ვერ დაუკავშირა შედეგები მიზეზს, ნაწილი მთელს, ვერ შესძლო, ანუ არ ისურვა ყოველ მხრივ აეწონ-დაეწონა იმ საშვალების მნიშვნელობა, რომელიც მან წამოაყენა, როგორც გლეხის მეურნეობის გამაუმჯობესებელი. ყოველი მწერლის წმიდა მოვალეობას კი შეადგენს აღნიშნოს და აჩვენოს როგორც კარგი, ისე ცუდი მხარე ყოველი საქმისა, რომ საზოგადოება შეცდომაში არ შეიყვანოს; ბ-ნმა გოგიჩაიშვილმა საუკეთესოთ დაგვიმტკიცა, რომ მას ან არ ესმის, ან არ სურს შეასრულოს ეს ელემენტარული, მაგრამ საკვალდებულო მოეხოვნილება. ბ-ნ ნ—ელმა გაბედა და შენიშნა ბ-ნ გოგიჩაიშვილს ეს, შენიშნა აგრეთვე ისიც, რომ „წვრილი კრედიტის შემოღებას არ შეუძლია გლეხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, წინააღმდეგ ის ხელს უწყობს სპეკულიაციის გაძლიერებას და გლეხთა უფრო ინტენსიურ ექსპლუატაციას". ამის პასუხათ ბ-ნ გოგიჩაიშვილმა მიმართა მოუხეშავ ოხუნჯობას და შედარებებს *), მარა სამწუხაროთ მათში ერთი წვეთიც არ ურევია გონება-მახვილობისა, ყველაფერი ნაძალადევი, ძალათ ნაკეთებია. რასაკვირველია, არ შეიძლება მოვთხოვოთ კაცს, რატომ გონება მახვილი არა ხარო, მარა უნდა შევნიშნოთ ჩვენ თანამოკალმეს, რომ ნაკეთები ოხუნჯობა მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ახლა მივუბრუნდეთ სტატიის იმ ნაწილს, სადაც ბ-ნი გოგიჩაიშვილი

---

*) მაგ. ბ. გოგიჩაიშვილი თავის თავს ტკბილ-ხმიან ბულბულს ადარებს...

არსებითათ ეკამათება ბ-ნ ნ—ელს და ცდილობს დაარღვიოს შემდეგი ტეზისები: „თან-და-თან იზრდება მიწის ფასები; ამ ზრდას ხელს უწყობს თვითონ საგლეხო ბანკი, რადგან იგი დიდათ აფასებს მიწას და გლეხებს დიდ სესხს აძლევს. ამ გარემოების წყალობით ვითარდება მიწით სპეკულაციაც,—სპეკულატორები ბლომათ ყიდულობენ მიწებს; რადგან იმედი აქვთ ადვილად გაყიდონ დიდ ფასებში გლეხებზე, რომელთაც სესხს ბანკი აძლევს. ამ სახით გლეხის ხელში მიწა ძალიან ძვირათ გადადის, ასე რომ იგი იმისთვის საზარალო და გამანადგურებელი ხდება.“ პირველი ტეზისი ბ. ნ—ელისა მას ჭეშმარიტებათ მიაჩნია და ეთანხმება, „რომ მიწის ფასი რუსეთში (და ჩვენშიაც) თან-და-თან მატულობს. ეს მტკიცდება სტატისტიკური ციფრებითაც“. შემდეგ ბ-ნი გოგიჩაიშვილი ამტკიცებს ბ. ნ—ელის მეორე უმთავრესი ტეზისის სამართლიანობას და ამით იღებს ყველა მისგან გადმომდინარე ლოღიკურ დასკვნებს. აი რას ამბობს ამის შესახებ ჩვენი ოპონენტი. „თვით ბანკის არსებობა ნიშნავს იმას, რომ მიწას მუშტრები უჩნდებიან, გლეხები მისი შემწეობით მიწის ყიდვას იწყებენ მემამულეთაგან. ცხადია, მოთხოვნილების გადიდებასთან, მუშტრის გამრავლებასთან ერთათ უნდა იმატოს მიწის ფასმაც,—მემამულენი, რადგან ხედვენ, რომ მყიდველები არიან, მამულს ფასს უმატებენ. აგრეთვე სპეკულანტებიც ახერხებენ თავის „გეშეფტების“ მოწყობას; რადგან იციან, რომ გლეხს უჭირს მიწა და ამასთან შეუძლია სესხის შოვნა, ყიდულობენ წინდაწინ მიწას და ჰყიდიან შემდეგ გლეხებზე ძვირათ.“ამნაირათ ბ. ნ—ელის ტეზისებისუარყოფის მაგიერ ის კიდევ უფრო ამტკიცებს და ხაზს უსვამს მათ სრულ ჭეშმარიტებას. რასაც ნ—ელი ამტკიცებდა, ,,კვალში‘‘ იმასვე სიტყვა სიტყვით იმეორებს ბ-ნი გოგიჩაიშვილი ,,ცნობ. ფურცელში‘‘. აი რას სწერს ის: „წვრილი კრედიტის შემოღებას არ შეუძლია გლეხების ეკონომიურათ ფეხზე დაყენება, პირ იქით, ის ხელს უწყობს გლეხთა საუბედუროთ სპეკულაციის გაძლიერებას“. თუ ეს ასეა, თუ ამას ეთანხმება ბ-ნი გოგიჩაიშვილი, ერთი უნდა ვკითხოთ: რა მოსაზრებით ამყარებს ის ისეთ დიდ იმედებს საგლეხო ბანკზე?ბ-ნ ნ—ელმა სწორი ლოღიკური დასკვნა გამოიყვანა თვით ბ-ნ გოგიჩაიშვილისგანაც მიღებულ დებულებიდან, რომ ჭეშმარიტი დამცველი გლეხთა ინტერესებისა უნდა ხედავდეს საგლეხო ბანკში მავნებელ პალიატიურ ზომებს, რომელიც თვალს უხვევს ხალხს, სინამდვილის დანახვას უშლის და მომავალში არა თუ შეაქვს რაიმე არსებითი გაუმჯობესობა მათ ყოფა-მდგომარეობაში, წინააღმდეგ, ის ხდება ახალ უფრო მოხერხებულ იარაღათ გლეხთა ექსპლოატაციისა...

თანამედროვე წარმოებაში ვერ პოულობს ალაგს ყველა კაპიტალი, რომელიც მოგროვებულა ბურჟუაზიის ხელში. ფული ბევრია და საკმარისათ, სარგებლიანი წარმოება კი იშვიათია, პროცენტი თანდათან კლებულობს... ამგვარ პირობებში ხსნიან საგლეხო ბანკებს და ეუბნებიან გლეხებს: ,,აი ფულები თქვენთვის მზათაა, ოღონდ აირჩიეთ მიწები, გაიტანეთ ფულები და გახდით მესაკუთრე-მეურნეთ; ბანკს აძლიეთ პროცენტი‘‘... გლეხები ილტაცებაში მოჰყავს ასეთ თანაგრძნობას, კაპიტალისტები კი პოულობენ თავიანთ ფულებისთვის ახალ, ერცელ ასპარეზს და საკმარის პროცენტს. მემამულეები ასაღებენ რიგიან ფასათ უსარგებლოთ მდებარე მიწებს. ახლა კაპიტალისტი თითქმის ყოველთვის მემამულეცაა და მაშასადამე იგი ორგვარათ იგებს: პროცენტსაც ღებულობს და მიწასაც ასაღებს. მაგრამ ამით არ კმაყოფილდება ჩვენი კაპიტალისტი. მას ყავს ორგვარი აგენტები: ერთი, რომელიც მუძებარი ძალღივით ტყობულობს, სად და რომელი მემამულე (თავადი, აზნაური და სხვა) არის გაჭირვებულ მდგომარეობაში ბანკის და სხვა ვალების მეოხებით; აგენტები ატყობინებენ კაპიტალისტს: აი ამ და ამ ალაგას მზათ არის ნაღდათ. კაპიტალისტი აძლევს ბრძანებას: უთვალყუროთ—და რადგანაც მსხვერპლი ჩავარდება უკანასკნელ მდგომარეობაში—შემატყობინეთ. კაპიტილისტი გზავნის სანდო პირს, ან თვითონ მიდის მამულის დასათვალიერებლათ, რომ დარწმუნდეს, მოეწონებათ თუ არა გლეხებს ეს მამული. შემდეგ ტყობულობს საგლეხო ბანკში, რამდენია უკანასკნელი სუმა, რომელსაც დაგირავების დროს აძლევს ბანკი გლეხებს ამგვარ მიწებში. შეიტყო, რომ, მაგ., დესეტინაში იქ ბანკი მისცემს გლეხს სესხათ საშუალო რიცხვით 60 მან. ეს ერთი მხარე სპეკულაციისა. ახლა მეორე: აგენტები მოფენილია სხვა და სხვა კუთხეებში და ეძებენ გლეხებს, რომელთაც არა აქვთ საკმარისი მიწა-წყალი და მათ ურჩევენ გადაესახლონ ამ და ამ ალაგას, სადაც ნამდვილი ედემია. მემამულეს დაუდგა უკანასკნელი ჟამი, კაპიტალისტმა შეიყიდა მისი მამული, დესეტინა 40 მან. ფასის გაღების მაგივრათ მან ბანკიდან მისი ვალი გადიტანა თავისთავზე, დანარჩენი გროშები გადუგდო მემამულეს. გადის დრო. გლეხები მოვიდენ და შეისყიდეს მიწა—70 მან. დესეტინა. კაპიტალისტმა მიიღო საგლეხო ბანკიდან 60 მან., ხოლო 10 მან. დარჩა ვალათ გლეხებს. რასაკვირველია, კაპიტალისტი დიდ სულგრძელობას იჩენს და არ აწუხებს გლეხებს, რადგან უკვე 20 მან. მოიგო. მათ აძლევს ხანგრძლივ ვადას. გლეხებიც ბევრს არ გაჰრობენ, რადგან ფულს ნაღდათ არ იხდიან და პროცენტების გადახდა კი იმდენათ არ აშინებთ, კაპიტალისტს მარტო ეს ერთი მამული როდი აქვს შეძენილი; ის წელიწადში ყიდულობს რამოდენიმე მამულს და აგრეთვე ყიდის ისე, როგორც ზევით არის აწერილი. ამნაირათ მიწის ყიდვა-გაყიდვა ყოველგვარ ვაჭრობაზე მეტ მოგებას იძლევა. კაპიტალისტს ბანკში ფული არ შეაქვს, მხოლოდ ვალი გადმოაქვს თავის სახელზე; მიწის გამყიდველს აძლევს ცოტას, მაგრამ იმასაც უფრო ხშირათ ვექსილებით, რომელსაც მიწის გამყიდველი წარადგენს რომელიმე ბანკში, სადაც მას აქვს კრედიტი, და იქიდან გამოაქვს ფული. კაპიტალისტი კი ყიდის მიწას გლეხებზე და საგლეხო ბანკიდან ღებულობს ფასს ნაღდათ. ამ ფულით ისტუმრებს ბანკებს და დანარჩენ ფულს ჯიბეში იწყობს. როგორც ხედავთ აქ კაპიტალისტის მხრით წმინდა სპეკულაციაა; უკაპეიკოთ იძენს ქონებას, შემდეგ ამ ქონებას ყიდის ნაღდ ფულათ, ორჯერ უფრო ძვირათ იმაზე, რაც თვითონ მისცა (ჩვენ ვიცით უკვე, რომ არაფერი არ მიუცია); ამ ფულიდან ისტუმრებს პირველ გამყიდველს (ანუ ბანკს); ამის შემდეგ მას მაინც რჩება დიდი ძალი ფული. აი ერთი მაგალითი: ერთმა კაპიტალისტმა სხვათა შორის მოკიდა ხელი ამგვარ ვაჭრობას; ორი წლის განმავლობაში ამნაირათ იყიდა 85,000 დესეტინა (რუსეთში) და კიდევაც თითქმის ყველა მიყიდა გლეხებს ისე, როგორც ზევით ავწერეთ. მოგება ასე განაწილდა: აგენტებს ერგო 75,000 მან., 200,000 მანათამდე სახელმწიფო ხაზინას და ნოტარიუსს; 1,500,000 მანათამდე თვით კაპიტალისტს. რასაკვირველია, იმ დროში, სანამ მის ხელშია მამული, მამულს მოაქვს რიგიანი შემოსავალი, ასე რომ მისი ფული არ ცდება. გარდა ამისა, როდესაც მამულს გლეხებს მიყიდიან, ცხენებს, ძროხებს, საუკეთესო სამეურნეო იარაღებს და ოჯახის მორთულობას, რომელშიაც ცალკე ფული არ იყო მიცემული მემამულესათვის, რჩება ბ. კაპიტალისტს და არა გლეხებს. ასე გულუხვობენ კაპიტალისტები, ამნაირათ სარგებლობენ საგლეხო ბანკით. საგლეხო ბანკების დაარსებით მრავლდება ფიქტიური წვრილი მესაკუთრე გლეხები.

მარა, განაეს გლეხები უკეთეს პირობებშია არსებობისთვის ბრძოლაში, ვინემ მისი მოძმენი, რომელთაც თანამედროვე წარმოება უწყალოთ დევნის სოფლიდან, ხდის უმიწა-წყლოუსახლ-კარო მუშათ, რომლის ერთათ-ერთ კაპიტალს წარმოადგენს მხოლოდ სამუშაო ძალა?.. მათი ბედნიერება, მათი თანდათან გაძლიერება შეუძლებელია და ამას ამტკიცებს მთელი ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობა. ღღეს, როდესაც მეურნეთა ნაწარმოები თანდათან იაფდება, კონკურენცია თანდათან მწვავდება, მეურნეობა მეტ ხარჯს ინდომებს, გლეხს ათასგვარი ახალი საჭიროება თანდათან მეტ ფულს თხოვს, შინაური წარმოებით ოჯახის სხვა და სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება, გლეხმა ყოველისფერი ფულით და მხოლოდ ფულით უნდა იყიდოს, არსებობისთვის ბრძოლაში პრაქტიკულ და ტეორეტიულ ცოდნის შეძენა აუცილებელ საჭირო იარაღათ ხდება (გლეხს კი სრულიად არ აქვს დრო ან თანდათან უფრო ცოტა დრო რჩება ამ ცოდნათა შესაძენათ, ბურჟუაზიას კი თანდათან მეტი დრო), მაშინ ბრუციანმაც უნდა დაინახოს, ყრუმაც გაიგონოს, უგუნურ და უმეცარმაც შეიგნოს, რომ გლეხობა ამ ბრძოლიდან გამარჯვებული ვერ გამოვა, როგორც გლეხობა. რაც შეეხება ბანკების შემწეობით მიწის მყიდველ გლეხებს, მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გაჭირვებულია და აი რისთვის: ეს გლეხები უნდა გადაესახლონ, მოეწყონ ახალ ალაგას; ეს კი თხოულობს, ცხადია, ზედმეტ ხარჯს, რომელიც აწობა კისერზე მძიმე ტვირთათ ისეც ღატაკ გლეხს. ამგვარი მესაკუთრე-მეურნე გლეხის დასაღუპავათ სრულიად საკმარისია ერთი ცუდ-მოსაელინაი წელიწადი, რომ მან მერე ფეხის მოდგმა ველარ მოახერხოს. ბანკი თხოულობს თავის დროზე პროცენტების შემოტანას, სახელმწიფო—გადასახადებს, ოჯახი—ხარჯს, მეურნეობა-გაუმჯობესობას. ამ ნაირათ ის კიდევ უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარდება...

მაშ ვისთვისაა ხელ-საყრელი, ვის ინტერესებს ემსახურება საგლეხო ბანკი? ამას შემდეგი ფაქტებიდან დავინახავთ. „არსებობენ კიდევ ისეთი მიწათმფლობელები, რომელნიც უფრო სასარგებლოთ თვლიან თავის მიწები შემუშავების მაგივრათ გაყიდონ და აღებული ფულით შეიძინონ სხვა ადგილები, რასაკვირველია, ისევ გასაყიდათ; ამ შემთხვევაში ოპერაციის უკანასკნელ საფეხურს შეადგენს მიწის გლეხის ხელში გადასვლა. „ხერსონის გუბერნიის ეროების სასოფლო-სამეურნეო ხრონიკაში“ მოყვანილია მთელი რიგი ფაქტებისა, რომელნიც გვიჩვენებენ, რომ ალექსანდროვის მაზრაში არამარტო წვრილ ნაჭრებათ, არამედ მსხვილ ნაჭრებათაც გაყიდის დროს დესეტინა მიწის ფასი უწია 150 - 180 მან., ე. ი. ისეთ სიმაღლემდის, რომლამდისაც არ აღწევია მე-80-ცე წლებშიაც. ყირიმის გუბერნიებში, რომელშიაც ხშირათ გვალვა აფუჭებს ნათესს, დესეტინა მიწის გასასყიდი ფასები მეტია, ვინემ მჭიდროთ დასახლებულ, ნაყოფიერ და წარმოება განვითვრებულ კიევის გუბერნიაში, ხოლო ბესსარაბიაში მიწები იყიდება უფრო ძვირათ, ვინემ პოდოლში. ჩერნიგოვის და პოლტავის გუბერნიებიდან გაზეთები იტყობინებოდენ, რომ მამულები ერთი წლით ადრე ნაყიდი, ახლა იყიდება 15—20% მოგებით წინანდელ ფასთან შედარებით. პერეიასლავის მაზრაში, (პოლტ. გუბ.) ერთმა მიწით მოვაჭრემ შეიძინა ადგილები 87 ათას მანათისა, და ამ ხანებში მიყიდა ის გლეხებს 100 ათას მანათათ. ს. ბანფილაში სამი წლის წინეთ N-მ ერთი ნაწილი თავის ადგილისა გაყიდა დესეტ. 140 მან., ხოლო მეორე ნაწილი ცოტა ხნის შემდეგ 300 მანათათ. შარშან იმავე ადგილებიდან ამბები მოვიდა, დესეტინა მიწა 400—500 მან. იყიდებაო. კორესპონდენტების სიტყვით, მწარმოებლები ჯერ გამოაცლიან მიწას ნაყოფიერებას და შემდეგ ყიდიან გამოფიტულ მიწას, კიდევ მოგებით; ამასთანავე ფულს ატულობს მანამდი, სანამ მიწა გლეხების ხელში—ანდერძებადეს, რომლებიც ამნაირათ იხდიან ყველა შუამავალ სპეკულანტების მოგებას. ვორონეჟის გუბერნიაში შედგა მთელი კომპანია სპეკულიანტებისა, რომელთაც აზრათ აქვთ მოსულ გლეხებზე ყიდიან მიწები. მათ შეუძენიათ ოსტროგოჟსკის მაზრაში 17 ათასი დესეტინა მიწა არა უძვირეს 60—75 მან. თვითო და გაუყიდიან საგლეხო ბანკის შემწეობით 105—125 მან. თვითო დესეტ. ბოგუჩარის მაზრაში უყიდიათ 30 ათასი დესეტინა 50—80 მ. დესეტ. და გაუყიდიათ გლეხებზე დესეტინა 100—120 მან. ერთი მამულიდან ყიდვა-გაყიდვის წყალობით შემოსვლია მის დროებით პატრონს წმიდა მოგება 400 ათასი მანათი.

ასეთია ცნობები სამხრეთ რუსეთიდან. მარა არა ნაკლებ ეფექტიურია აგრეთვე ცნობები აღმოსავლეთ ნაწილიდან. სამარის და უფის გუბერნიაში მიდიან გადასახლებულ გლეხთა. მთელი ჯგუფები სხვადასხვა ადგილებიდან. მარა სპეკულანტები წინდაწინვე ყიდულობენ აქაურ მიწებს და შემდეგ ყიდიან ამ ლუკმა პურის მაძიებლებზე, რაც შეიძლება მეტი მოგებით; ამის გამო მიწების ფასი სულ მოკლე ხანში ერთი ორათ და სამათ მატულობს. ამგვარ სპეკულაციის შესახებ აღიძრა კითხვა სამარის საერობო კრებაშიც. მარა განსაკუთრებით საყურადღებოა ის ცნობები, რომელიც „Русск. Вѣд.“-ში მოათავსა ბ. პურგავინმა, ვიდაც ზ. სისტემატიურათ შეისყიდა ნაწილი სარატოვისა და სამარას გუბერნიის სამხრეთის მაზრების მიწები. ყიდულობდა მიწებს 25 მ. დესეტინას და რამდენიმე კვირის შემდეგ ყიდდა 50 მ. ერთი მამული შეიძინა 16 მ. დეს. და გაყიდა კი 40 მ., ე. ი. აიღო 150% მოგება. 1900 წ. ბ. ვერეტენნიკოვის ქონება 2,200 დესეტინა შეყიდულ იქნა 29 მანათათ დესეტინა და ორი კვირის შემდეგ გაიყიდა 43 მან. ე. ი. მიწა უეცრათ ერთნახევარჯერ გაძვირდა. ბუზულუკის მაზრაში ვიღაც რ. შეიძინა შვიდი წლის წინეთ 7.500 დესეტინა მიწა 25 მან. თითო დესეტინა. და ახლა კი მიყიდა გლეხებს 100 მან. დეს. ერთ სამარელ ნატარიუსის ქონება 4000 დესეტინა, შეძენილი სპეკულიანტ მ.-სგან 22 მანათის კვალობაზე სულ ექვსი თვის შემდეგ გაიყიდა გადმოსახლებულებზე 47 მან. დეს., ე. ი. ნახევარი წლის განმავლობაში მოიგო 100,000 მან.“

არ გვგონია ბ. გოგიჩაიშვილმა არ იცოდეს ყველა ეს, ხოლო თუ არ იცის, არც უნდა შედგომოდა გლეხთა შესახებ ტრაქტატების წერას. ჩვენ გასაკვირველათ გვეჩვენება მისგან ასეთი სიტყვები: „მარტო საგლეხო ბანკით და მისი დაფასების გადიდებით ვერ აიხსნება მიწის ფასების აწევა. ფასების აწევას სხვა უფრო ძლიერი მიზეზები აქვს. მაგალ., სახელმწიფოში ფულის სარგებლის სიდიდის შემცირება ადიდებს მიწის ფასს“. კარგი თავის მართლებაა! მერე რა გამოდის აქედან? რასაკვირველია საგლეხო ბანკის გარდა ბევრია ისეთი მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ მიწის ფასის აწევას. ჩვენ შეგვეძლო გვეჩვენებინა უფრო ღრმა, უფრო ძირითადი მიზეზები ამ მოვლენისა, მარა სხვა მიზეზების არსებობა ნუ თუ აუქმებს იმას, რაც სთქვა ბ. ნ—ელმა? განა ერთი ბოროტება ისპობა იმით, რომ არსებობს სხვა ბოროტებაც? არ ეპატივება ასეთი ულოგიკობა იმას, ვინც სხვას უწუნებს ლოგიკას. მე რომ ისეთივე მოყვარული ვიყო პოეტურ შედარებებისა, როგორც ბ. გოგიჩაიშვილია, შემეძლო გამეხსენებია მისთვის კრილოვის არაკი: „Чѣмъ кумушекъ считать трудиться, не лучше-ль на себя, кума, оборотиться?

მარა მიკუბრუნდეთ საგლეხო ბანკების ანგარიშებს.

„1897 წელს, საგლეხო ბანკის ანგარიშით, საშუალო ფასი დესეტინა მიწაზე ყოფილა 71 მან, მაშინ როდესაც არც ერთ წინა წლებში ფასს არ აუწევია 52 მანათზე ზევით. 1899 წ. ფასმა მოიმატა ერთი მანეთით, ხოლო 1900 წ. ავიდა 76 მან.“.

მარა ჩავყვეთ ქვევით. ვისარგებლოთ იმ ცნობებით, რომელიც ეხება 7 გუბერნიას, რომლებშიაც საგლეხო ბ-ნკის მოქმედებას ფართო ადგილი ქონდა დაჭერილი.

საშუალო ფასები თითოეულ დესეტინისა.

	გლეხ.-განაღებ. 1884 წ.	1894 წ.	1899 წ.	1900 წ.	თვ. ბანკ. მიცემ. 1899 წ.
	გამ-ყიდველების მიერ.				
გუბერნიები . . .	მან.	მან.	მან.	მან.	მან.
კურსკის	106	119	123	135	—
პოლტავის	91	86	135	159	141
სარატოვის	33	65	78	81	86
		(25-დან 60	მან.)		
სმოლენსკის . . .	28	34	65	68	—
მოგილევის	17	34	51	63	54
პოდოლის	95	127	131	158	113
ხერსონის	65	98	126	134	—
ყირიმის	49	—	136	123	—

აქედან ცხადათ ჩანს, რამდენათ სწრაფათ იზრდებოდა ადგილების ფასები. ზევით ჩვენ დაკინახეთ, რომ ფასის აწევა არაა დამოკიდებული ადგილის მოხდენილ მდებარეობაზე ან ნაყოფიერებაზე, არამედ ამაზე უმთავრესი გაკლენა აქვს სპეკულიციას. ხოლო თუ სპეკულიცია ასე გაფართოვდა და გაიზარდა, ეს სულ საგლეხო ბანკების წყალობით.

„პირველ თხუთმეტი წლის განმავლობაში თავის არსებობისა საგლეხო ბანკს გაუცია სესხათ მიწის საყიდლათ 110 მილიონი მან., რაც საშუალო რიცხვით შეადგენს წელიწადში 7 მილ. მანათს. მარა 1897 წ. მისი ოპერაციები ისეთი სასწრაფით გაფართოვებულა, როგორც წინათ არასოდეს, და ახლაც ისე პროგრესიულათ მატულობს. ამ წელში გაუცია სულ 20.895,000 მან. შემდეგ წელში 36.473,000 მან. 1899 წ. უკვე 44.569,000 მან. და 1900 წ. 53.515,000 მან. ამნაირათ უკანასკნელ სამ წლის განმავლობაში გაცემულა მეტი, ვინემ ყველა წინა 15 წლის განმავლობაში და სესხის რაოდენობა კიდევ მატულობს. ბანკების მეოხებით მიწა ისეთ ადვილ გასასაღებელ საქონლათ გადაიქცა, რომ ვაჭრობის გამოფხიზლების დროს ყველანი სიხარულით ყიდულობენ, იმ რწმენით, რომ შემდეგ უფრო გაძვირდებაო“.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გლეხები ძალიან ადვილათ ეხვევიან სპეკულანტების გაბმულ ქსელში და თანხმდებიან ბანკის შემწეობით შეიძინონ მიწა მაღალ ფასებში. მარა მოყვანილი ციფრებიდან ცხადია, რომ გლეხები იძენენ მიწებს მეტათ დავალიანებულს, ე. ი. გლეხები ყიდულობენ ბანკების შემწეობით მიწას არა თავის ნამდვილ ფასათ, არამედ ორჯერ-სამჯერ უფრო ძვირათ, ვინემ მიწა ღირს. ამ ფაქტზე არ შეიძლება არ დაგვეთანხმოს თვითონ ბ. გოგიჩაიშვილიც. ეს ფაქტი კი ამტკიცებს სრულ უსაფუძვლობას ბ. გოგიჩაიშვილის ვამოანგარიშებისას. ის ამბობს: „გლეხი ბანკიდგან სესხს იღებს და უნდა უხადოს წლიურათ 6%. ამით იგი სარგებელსაც იხდის და მიწის ვალსაც სწყვეტს. 83 მანათისთვის, ე. ი. ერთ დესეტინისთვის იმას უწევს წლიურათ გადასახადი 4 მან. და 98 კაპ. იჯარით რომ აიღო მიწა, უნდა ეხადა იჯარათ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, 6 მან. და 30 კაპ. ახლა იხდის ამაზე ნაკლებს, —ამით სარგებელსაც იხდის და ვალსაც იშორებს, ასე რომ ბოლოს მიწა უფასოთ დარჩება. ნუ თუ ეს სარგებლობა არ არის? საკვირველია, რომ ჩვენში ყველაფერი «სასპოროთ» გახდება ბოლომდ.

შეიძლება, ბ-ნი ნ—ელიც ცოტა ეჭვიანობს ამ სთვლის სარგებლობათ. მე, მართალი მოგახსენოთ, ეჭვი შემდის, რომ იგი ასეთის შეხედულებისაა“...

ასე ფიქრობს ბ. გოგიჩაიშვილი, მარა მას ავიწყდება ერთი უბრალო და მასთანვე მნიშვნელოვანი გარემოება, სახელდობრ ისა, რომ მიწაში გლეხი იხდის ორჯერ, ხშირათ სამჯერ მეტ ღირებულებას, და მაშასადამე პროცენტებიც უნდა იხადოს გაორკეცებულ ან გასამკეცებულ ჯამისა.

მართალია, ეს მანათზე მას ხდება პროცენტი 6 მანათი, მარა საერთოთ კი მას ედება 12—18 მან. გადასახდელათ იქ, სადაც მხოლოდ 6 მან. უნდა გადაეხადა. ამავე დროს მიწის შემოსავალი სრულიადაც არ იზრდება.

კიდეც რომ დაიკლოს ვალის პროცენტებმა ესეც ვერ უშველის გლეხს, რადგანაც ეს გარემოება თავის მხრივ შექმნის უფრო მეტ მოთხოვნილებას მიწაზე, ვინემ წინეთ იყო, და მაშასადამე ფასებიც აიწევენ. ამ მხრივ სრულ სიმართლეს წარმოადგენს ერთი ადგილობრივი საგლეხო ბანკის განყოფილების თავმჯდომარის აზრი:

„მიწათ-მფლობელებს ძალიან ნაკლებათ ესმისთ საკუთარი ინტერესები, ისინი ვერ ამჩნევენ, რომ გადასახდელ პროცენტების დაკლება უმატებს ფასს მათ მიწებს და ამით საშვალებას აძლევს გაყიდონ ის წინანდელზე ძვირათ“ ვორონონოვთან ერთათ ჩვენც ვეტყვით, ბ-ნ გოგიჩაიშვილს, რომ საერთოთ „შემსუბუქების“ მაგიერ ჩვენ ვიღებთ შემდეგს: გლეხები იხდიან იმდენსავე, რამდენსაც წინეთ, ან კიდევ მეტს: ბანკი იძლევა მეტს სესხს და ამათ მეტ რისკში აგდებს თავის თავს. ხოლო ფაქტიურათ აქედან სარგებლობა ხვდება გამყიდველებს, რადგან მათ მიწებს ფასი ემატება. დახმარება ეძლევა გლეხებს, მარა დიდი ნაწილი ამ დახმარებისა მათ ხელსა და თვალ შუა ეპარებათ და გამყიდველთა დახმარებათ ხდება.“ (იქ. გვ. 593.) ასეთია ნამდვილი მნიშვნელობა საგლეხო ბანკისა. ასეთია ის კეთილი საქმენი, რომელთა მსხვერპლათ მეათასეჯერ ხდება გაჭირვებული გლეხი. ყველა ეს კარგათ უნდა იცოდეს ბ-ნმა გოგიჩაიშვილმა. ამას ის თითქმის კიდეც ეთანხმება, მარა არ გვეთანხმება იმაში, რომ დაეჭვილს—გატეხილი სჯობია და ამიტომ ამტკიცებს, თუმცა არ ვარგა, მარა მაინც კარგიაო.

დ. თოფურიძე

მეურნე და მეურნეობა.

XII.

(დასასრული).

ამ გვარათ ჩვენ გავშინჯეთ ოთხი კატეგორია: მიწათ-მფლობელი, მოიჯარადრე-კაპიტალისტი, მოიჯარადრე-გლეხი და წვრილი „დამოუკიდებელი“ მეურნე. პირველი ცხოვრობს რენტით, მეორე მოგებით, მესამე და მეოთხე თავისი შრომით. მაგრამ ეს შრომა ისეთ პირობებშია ჩაყენებული, იმდენ მოპირდაპირე ძალასთან აქვს საქმე, რომ ის გამდიდრების მაგიერ ყვლეფს და ანადგურებს თავის პატრონს. ამის მთავარი მიზეზია რენტის არსებობა, ხოლო რენტა კი კაპიტალისტიური წარმოების ერთი რგოლია, მისი მიუცილებელი შემადგენელი ნაწილია. მაშასადამე, რენტის არსებობა მჭიდროთ შეკავშირებულია მთელ თანამედროვე ეკონომიურ წყობილებასთან და ვინც ფიქრობს მათი ერთმანეთისაგან დაშორებას და მათისვე ბედის ცალ-ცალკე გადაწყვეტას, მას წარმოდგენაც არ აქვს არც ერთის და არც მეორის ბუ-

ნებაზე. რენტა მხოლოდ შედეგია, უეჭველი თანამგზავრია რსებული საზოგადო პირობების; ის არის საზოგადო ურთიერთობის გამოხატულება, ძალთა განწყობილების დახასიათება, საკუთრებაზე ხელ-შეუხებელი უფლება. ის იურიდიული ფაქტია, უფლებრივი მდგომარეობის უმაღლესი ნასკვია. ამიტომ მიწის ეგრედწოდებული „ნაციონალიზაცია“ და მით რენტის გაუქმება თანამედროვე პირობებში სრულ ოცნებათ უნდა ჩაითვალს. მეორე მხრით, შეიძლება რენტა მოისპოს რამოდენიმე მეურნისათვის, მთელი სოფლის გინდ მაზრის გლეხობისათვის მიწის მუქთათ დარიგებით, მაგრამ ეს კიდევ რ ნიშნავს მათი მდგომარეობის შესამჩნევათ გამოცვლას და ყმის ბატონათ გადაქცევას. რამოდენიმე წლის განმავლობაში ყოველივე ისევ ძველებურათ მოეწყობა და გაჭირვება კიდევ უფრო გაძლიერდება. დიდი რევოლიუციის დროს საფრანგეთის გლეხობამ თითქმის მუქთათ შეიძინა მიწები. მიუხედავათ ამისა, იქ წვრილი საკუთრება ქრება, გლეხობა ღატაკდება და ქალაქებში სახლდება. რა არის ამის მიზეზი? ცხადია რაც არის, მიწის მუქთათ შოვნით სრულიადაც არ გაუქმებულა ფულის ბატონობა, მიწის ყიდვა-გაყიდვა, ბაზრისთვის წარმოება, მსოფლიო მაზანდაზე დამოკიდებულება, ბანკირთა ყოვლად შემძლებლობა—ერთი სიტყვით კაპიტალისტიური წყობილება. პირიქით, ყველა ეს შეადგენს იმ კალაპოტს, რომელშიაც მოძრაობს თვითოეული მწარმოებელი და მას მორჩილებს. და რადგანაც წვრილი მწარმოებელი აქ ნიადაგს თანდათან კარგავს და ღარიბდება, აშკარაა გლეხიც ამ მიმდინარეობას ექვემდებარება და ბეჩავდება. ის როგორც ნივთიერათ, ისე გონებრივათ პროლეტარიატზე დაბლა ეშვება და სხვადასხვა ცრუმორწმუნოების ბადეში ეხვევა. მეორე მხრით, ცხოვრების ვითარება სოფლებში ისეთ ელემენტებს და ისეთ ნივთიერ პირობებს ბადებს, რომ გლეხობა ადრე თუ გვიან ამ ბურუსს თავს დაახწევს და შეუერთდება შეგნებულ პროგრესიულ რაზს.

თანამედროვე წესი წარმოებისა ეწინააღმდეგება არა მარტო წვრილ მეურნეს, არამედ ერთი მხრით რენტიორსაც და მეორე მხრით მიწის წესიერ შემუშავებას (რაციონალური მეურნეობა). გავარკვიოთ ესენი ცალ-ცალკე.

როგორც ზევით ვთქვით, სამეურნეო განვითარება წარმოებს ნაყოფის და მიწის თანდათანი გაძვირებით. ეს გაძვირება მიდის იმ ზომამდე; რომ იწვევს სამეურნეო კრიზისებს და თავის წარმატებას თვითონვე საზღვრავს, ე. ი. მიწათმფლობელის მეტი შემოსავალი ბადებს მის ნაკლებ შემოსავალს და იწვევს მის გაჭირებას. როგორ ხდება ეს? სამრეწველო ქვეყნებში საფაბრიკო საქონელი იაფია, სამეურნეო კი ძვირი. უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში კი, პირიქით, სამეურნეო ნაწარმოები იაფია, საფაბრიკო კი ძვირი. მაშასადამე სამრეწველო ნიადაგზე პირველი ამარცხებს მეორეს, ხოლო სამეურნეო ნიადაგზე მეორე ამარცხებს პირველს. აი აქედან იშვა ევროპის სამეურნეო კრიზისი, რომელიც გრძელდება ეს ოცი წელიწადია. ეს ნიშნავს პირველ ყოვლისა იმას, რომ ევროპაში შემოდის დიდძალი პური, ხორცი და სხ. სამხრეთ ამერიკიდან, ინდოეთიდან, რუსეთიდან და სხვა სამეურნეო ქვეყნებიდან. ამ ქვეყნებში მიწა იაფია, მუშა იაფია, მოთხოვნილება მცირეა (გარდა ამერიკისა), ნიადაგი ნოყიერია, მიმოსვლა სწრაფია და სხ. ყველა ამის გამო ნაწარმოებიც იაფია. ევროპაში კი მიწა ძვირია, მუშა ძვირია, მოთხოვნილება დიდია, ნიადაგი ღარიბია—ნაწარმოებიც ძვირია. და აი, ეს ორი საქონელი მოხვდა ერთმანეთს და დამარცხდა მეორე. ამას ვერ შველის ვერც ბაჟების აწევა, ვერც პრემიების დანიშვნა და ვერც სხვა ხელოვნური ზომები. ყველა ეს ნიშნავს მხოლოდ წყალზე ფეხით გაჩერებას და მეტს არაფერს. რენტა დაიწია, კაპიტალისტები მეურნეობას ხელსაყრელ ბინათ თავის ფულისათვის არ თვლიან და სხვა დარგებში უცხოეთში გადააქვთ. ამის გამო მიწის ფასებიც დაეცა. მიწათმფლობელის შემოსავალი შესუსტდა, ვალები კიდევ მეტი დააწვა და გაკოტრების გზას დაადგა. ამ კრიზისმა განსაკუთრებით დააზარალა ნაყიდი მიწების პატრონნი. ამათ მიწები შეიძინეს მაშინ, როცა მეურნეობა დიდ შემოსავალს იძლეოდა, მაშასადამე შეიძინეს ძვირათ. ახლა კი იძულებული არიან გაყიდონ იაფათ და თავნიც წააგონ; საიჯარო ფასები დავარდა, მემამულე წინათ აღებულ ვალების პროცენტებს ველარ ისტუმრებს და მამული ეყიდება; სოფლის მუშის ფასიც დაიწია და ესენიც ქალაქებისაკენ გარბიან; დადგა მუშის კრიზისიც. მწარმოებელი მემამულე მუშას ველარ შოულობს და მამულის თანდათან იჯარით გაცემას ეტანება. ამას მოუმატეთ ისიც, რომ არც ერთი კლასი ისე მფლანგავი და ფართოთ ცხოვრების მოყვარული არ არის, როგორიც არის მემამულეთა კლასი. ყველა ქვეყნის არისტოკრატიას ესენი შეადგენენ. ნათქვამია, ქარის შემოტანილი ქარსვე მიაქვსო, ეგევე ითქმის რენტიორებზედაც. ესენი არ აფასებენ თაკის შემოსავალს, რადგანაც რენტას მუქთათ, ხელებ გაუნძრეველათ ღებულობენ. ამიტომ ანგარიშიანი ცხოვრება არ უყვართ. და აი, კრიზისის დროს შემოსავალი უმცირდებათ, ხოლო გასავალი კი ისევ წინანდელი რჩება.

ამ მდგომარეობას ეწოდება კრიზისი არა იმიტომ, რომ ნაწარმოების ფასები მათ ნამდვილ ღირებულებაზე დაბლა იდგეს ან უხვი მოსავალი იყოს, არამედ იმიტომ, რომ ნაყოფის „ყალბი სოციალური ღირებულება“ დაიწია და ნამდვილ ღირებულებას უახლოვდება, რაც იწვევს მიწას გაზვიადებულ ფასების დაწევას და მით რენტიორთა შემოსავლის შემცირებას; მაშასადამე სამეურნეო კრიზისი კაპიტალისტიური მოვლენაა და მას არავითარი კავშირი არ აქვს მეურნეობის შინაგან ბუნებასთან. ერთი სიტყვით, კაპიტალისტიურმა განვითარებამ ერთი მხრით წინ წასწია მემამულენი რენტის მეტისმეტი აწევით, მარა მეორე მხრით უკან დააქანა იმავე რენტის დაწევით. ამიტომ ახლა ისინი კაპიტალისტთა წინააღმდეგ იბრძვიან (გერმანიის აგრარიები) და ხშირათ «აგრარიულ სოციალიზმსაც» ეტრფიან. ესენი ხდებიან მოუსვენარი, მებრძოლნი და მთავრობის მოწინააღმდეგენიც, როცა მათი სურვილი არ გადის. მაგრამ არც ერთი ამ მოქმედებით კრიზისი არ გაუქმდება; ის არის დღევანდელი წარმოების შედეგი, ის კაპიტალისტიური მოვლენაა და მისი სვე-ბედი შეკავშირებულია თვით კაპიტალიზმის სვე-ბედთან.

რაკი მეურნეობა წინანდულათ ხელსაყრელი არ არის, ამიტომ მეურნენი მეცადინეობენ პურის შემუშავება შეამცირონ და მის ალაგას კონკურენციას გარეშე მყოფი ნაწარმოები დაამუშაონ. მაგ., ინგლისში 1889 წ. ხორბლეულობას ეჭირა 2.545,000 აკრი მიწა, 1896 წ. კი 1.692,957 აკრი. სამაგიეროთ გაფართოვდა საბალახოები. ის იყო 1885 წ. 15.362,000 აკრი, 1895 წ. 16.611,000 აკრი. საფრანგეთში პურის თესვა წარმოებდა 1882 წ. 15.096,000 ჰექტარზე, 1892 წ. კი 14.827,000-ზე. და ეს მიუხედავათ პურის დიდი ბაჟებისა!

თანამედროვე პირობებში იფლანგება არა მარტო მუშამეურნის ძალ-ღონე, არამედ თვით მიწის ძალაც. მიწას უყურებენ, როგორც შემოსავლის წყაროს და რაც მეტი იქნება ეს შემოსავალი, მით უკეთესია. ამიტომ მემამულე ცდილობს რენტა ჩქარა აიღოს, ჩქარა გამდიდრდეს და ჩქარა ხარჯოს. ის მიწის ძალას სრულიად არ ზოგავს, მას ხელ-მო-

მჭირნეთ არ ეპყრობა. ეს მისი მიზანი არ არის, ის თავის მამულში არც კი ცხოვრობს. მას ყავს მოურავები, რომელთა მოვალეობაა ბატონს ბევრი ფული გაუგზავნონ სადმე ქალაქში ან უცხოეთში. ბოლოს ეს ფული რანაირად იქნება აღებული—ეს სულ ერთია მისთვის, მაშასადამე, მამულით შეძენილი ფული მამულშიკე არ იხარჯება და აქედან მიწას არაფერი არ უბრუნდება. ასევე და კიდევ უფრო მკაცრად იქცევა მოიჯარე. მიწას ის არ უვრცხილდება, რადგანაც მისი საკუთრება არ არის. გაუჭიანურებლობას მაინდამაინც არ მისდევს, რადგანაც რამოდენიმე ხანს შემდეგ ეს გაკეთებული მამული მემამულეს რჩება. ამისათვის ის ცდილობს იჯარით აღებულ მიწას რაც შეიძლება ჩქარა გამოსწოვოს სინოყიერე, დასცალოს ძალისაგან და მერე ისევ თავის პატრონს მიუგდოს. ასე იფლანგება ეს ბუნების სიმდიდრე მემამულის და მოიჯარისაგან. რაც შეეხება წვრილ მეურნეს, ის, ცხადია, ნიადაგის გაღონიერებას ვერ შესძლებს. ამისათვის მას აკლია ფული, ცოდნა და საკმაო სივრცე. ის ხმაობს ძველებურ სამუშაო იარაღებს, აწარმოებს მამა-პაპურათ, ასე რომ მას სრულიად არ ეკარება მეცნიერების სხვადასხვა აღმოჩენა და ტეხნიკის განვითარება. აშკარაა, რენტა ხდება მიმიზეზათ მეურნეობის შეჩერების და უკან დაწევის. ის ეწინააღმდეგება რაციონალურ მეურნეობას და იწვევს კონფლიკტს მიწათმოქმედების და მიწის საკუთრების შორის. ამით ქვეითდება სამეურნეო განვითარება და მოვა ის დრო, როცა თვით დედა-მიწა ამხედრდება ადამიანთა უსამართლობის წინააღმდეგ: ის, გამოფიტულ-გამოცალიერებული უარს იტყვის საკმაო ნაყოფის მიცემაზე და მით ძალას დაგვატანს ან გადავშენდეთ ან და წარმოების ახალი პირობები შევქმნათ.

ამ სახით კაპიტალისტიური პროცესი ავითარებს რა მეურნეობას, ბოლოს თვითონვე დებს ამ განვითარების საზღვარს და მით მიყავს ის ad absurdum.

გავათავეთ. ჩვენი მიზანი იყო მკითხველისათვის დაგვეხატა ის საზოგადო კალაპოტი, რომელშიაც დღევანდელი საზოგადო მეურნეობა მოძრაობს და ვითარდება. ეს არის კაპიტალისტიური კალაპოტი. ამიტომ დღევანდელი მეურნეობა და სამეურნეო საკუთრება სრულებით არა გავს წინანდელი დროის მეურნეობას და სამეურნეო საკუთრებას. ის ერთიანათ ემორჩილება დღევანდელი წარმოების ზოგად კანონებს და შეადგენს ერთ რგოლს ნივთიერი წყობილებისას. ჩვენ გამოვარკვიეთ ეს ზოგადი კანონები და ვეჩვენეთ მათი გავლენა მეურნე და მეურნეობაზე. აქ ვიხელმძღვანელეთ მხოლოდ იმ დასკვნებით, რომელნიც ეკონომიურ მეცნიერებაში დამკვიდრებულია და უცილოთ მიღებულია*).

გ. მარმალაძე.

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲒᲔᲑᲘ.

ᲙᲐᲮᲔᲗᲘ. ᲕᲔᲚᲐᲛ ᲣᲬᲧᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲐᲮᲕᲐᲗᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲡᲠᲣᲚ ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲠᲘᲐ ᲘᲧᲝ. ᲔᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲐᲮᲕᲐᲗᲐ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲙᲝᲛᲓᲝ, ᲠᲐᲡᲪ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐ ᲣᲛᲯᲝᲑᲘᲡᲐᲓ ᲛᲘᲣᲡᲯᲔᲓᲐᲕᲓᲐ ᲘᲛᲘᲡᲐ—ᲨᲔᲣᲫᲚᲝ ᲗᲣ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲝ. ᲣᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲓᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲜᲐᲓᲒᲔᲜᲘᲐ, ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐ ᲠᲐ ᲒᲐᲬᲘᲠᲕᲔᲑᲘᲗᲝ ᲘᲧᲝᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲓ ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲐᲮᲕᲐᲗᲐ ᲘᲜᲓᲘᲐ. ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲘᲥᲪᲔᲕᲐ ᲛᲝᲘᲯᲐᲠᲔ. ᲛᲘᲬᲐᲡ ᲘᲡ ᲐᲠ ᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲒᲐᲣᲭᲯᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲡ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲮᲐᲜᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲡ ᲠᲩᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲩᲥᲐᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲬᲝᲥᲝᲡ ᲡᲘᲜᲝᲧᲘᲔᲠᲔ, ᲓᲐᲡᲪᲐᲚᲝᲡ ᲫᲐᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲘᲡᲔᲕ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲛᲘᲣᲒᲓᲝᲡ. ᲐᲡᲔ ᲘᲤᲚᲐᲜᲒᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲘᲯᲐᲠᲘᲡᲐ�გᲐᲜ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲬᲕᲠᲘᲚ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲡ, ᲘᲡ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲡ ᲒᲐᲦᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲡᲫᲚᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲡ ᲐᲙᲚᲘᲐ ᲤᲣᲚᲘ, ᲪᲝᲓᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ. ᲘᲡ ᲮᲛᲐᲠᲝᲑᲡ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲡ, ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐᲞᲣᲠᲐᲗ, ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲠ ᲔᲙᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ. ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲐ, ᲠᲔᲜᲢᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲘᲖᲔᲖᲐᲗ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲬᲔᲕᲘᲡ. ᲘᲡ ᲔᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲐ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲬᲙᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲙᲢᲡ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲐᲛᲘᲗ ᲥᲕᲔᲘᲗᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐ ᲘᲡ ᲓᲠᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲓᲔᲓᲐ-ᲛᲘᲬᲐ ᲐᲛᲑᲔᲖᲔᲓᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ: ᲘᲡ, ᲒᲐᲛᲝᲤᲘᲤᲢᲣᲚ-ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲐᲠᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲝ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲗ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲓᲐᲒᲕᲐᲢᲐᲜᲡ ᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲕᲨᲔᲜᲓᲔᲗ ᲐᲜ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲨᲔᲕᲥᲛᲜᲗ.

ᲐᲛ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲡ ᲠᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲗᲘᲗᲝᲜᲕᲔ ᲓᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲗ ᲛᲘᲧᲐᲕᲡ ᲘᲡ ad absurdum.

ᲒᲐᲕᲐᲗᲐᲕᲔᲗ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲕᲔᲮᲐᲢᲐ ᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲙᲐᲚᲐᲠᲝᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲚᲐᲠᲝᲢᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲕᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲡ. ᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲐᲗ ᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲖᲝ�გᲐᲓ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲔᲠᲗ ᲠᲒᲝᲚᲡ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲠᲙᲕᲘᲔᲗ ᲔᲡ ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔᲗ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ. ᲐᲥ ᲕᲘᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲣᲪᲘᲚᲝᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ*).

გ. მარმალაძე.

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲒᲔᲑᲘ.

ᲙᲐᲮᲔᲗᲘ. ᲕᲔᲚᲐᲛ ᲣᲬᲧᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲐᲮᲕᲐᲗᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲡᲠᲣᲚ ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲠᲘᲐ ᲘᲧᲝ. ᲔᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲐᲮᲕᲐᲗᲐ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲙᲝᲛᲓᲝ, ᲠᲐᲡᲪ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐ ᲣᲛᲯᲝᲑᲘᲡᲐᲓ ᲛᲘᲣᲡᲯᲔᲓᲐᲕᲓᲐ ᲘᲛᲘᲡᲐ—ᲨᲔᲣᲫᲚᲝ ᲗᲣ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲝ. ᲣᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲓᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲜᲐᲓᲒᲔᲜᲘᲐ, ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲚᲔᲮᲝᲑᲐ ᲠᲐ ᲒᲐᲬᲘᲠᲕᲔᲑᲘᲗᲝ ᲘᲧᲝᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲓ ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲐᲮᲕᲐᲗᲐ ᲘᲜᲓᲘᲐ. ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲘᲥᲪᲔᲕᲐ ᲛᲝᲘᲯᲐᲠᲔ. ᲛᲘᲬᲐᲡ ᲘᲡ ᲐᲠ ᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲒᲐᲣᲭᲯᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲡ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲮᲐᲜᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲡ ᲠᲩᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲩᲥᲐᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲬᲝᲥᲝᲡ ᲡᲘᲜᲝᲧᲘᲔᲠᲔ, ᲓᲐᲡᲪᲐᲚᲝᲡ ᲫᲐᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲘᲡᲔᲕ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ ᲛᲘᲣᲒᲓᲝᲡ. ᲐᲡᲔ ᲘᲤᲚᲐᲜᲒᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲘᲯᲐᲠᲘᲡᲐ�გᲐᲜ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲬᲕᲠᲘᲚ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲡ, ᲘᲡ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲡ ᲒᲐᲦᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲡᲫᲚᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲡ ᲐᲙᲚᲘᲐ ᲤᲣᲚᲘ, ᲪᲝᲓᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ. ᲘᲡ ᲮᲛᲐᲠᲝᲑᲡ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲡ, ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐᲞᲣᲠᲐᲗ, ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲠ ᲔᲙᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ. ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲐ, ᲠᲔᲜᲢᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲘᲖᲔᲖᲐᲗ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲬᲔᲕᲘᲡ. ᲘᲡ ᲔᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲐ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲬᲙᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲙᲢᲡ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲐᲛᲘᲗ ᲥᲕᲔᲘᲗᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐ ᲘᲡ ᲓᲠᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲓᲔᲓᲐ-ᲛᲘᲬᲐ ᲐᲛᲑᲔᲖᲔᲓᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡ: ᲘᲡ, ᲒᲐᲛᲝᲤᲘᲤᲢᲣᲚ-ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲐᲠᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲝ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲗ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲓᲐᲒᲕᲐᲢᲐᲜᲡ ᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲕᲨᲔᲜᲓᲔᲗ ᲐᲜ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲨᲔᲕᲥᲛᲜᲗ.

ᲐᲛ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲡ ᲠᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲗᲘᲗᲝᲜᲕᲔ ᲓᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲗ ᲛᲘᲧᲐᲕᲡ ᲘᲡ ad absurdum.

ᲒᲐᲕᲐᲗᲐᲕᲔᲗ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲕᲔᲮᲐᲢᲐ ᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲙᲐᲚᲐᲠᲝᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲚᲐᲠᲝᲢᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲕᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲡ. ᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲐᲗ ᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲖᲝ�გᲐᲓ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲔᲠᲗ ᲠᲒᲝᲚᲡ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲠᲙᲕᲘᲔᲗ ᲔᲡ ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔᲗ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ. ᲐᲥ ᲕᲘᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲣᲪᲘᲚᲝᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ*).

Дозволено цензурою, Тифлисъ 5 апрѣля 1903 г. ელექტრონის სტამბა ძმ. თავართქილაძეებისა; სერგეევის ქ., სახ. № 1.